გალაკტიონი უსაზღვროდ აფასებდა ჩვენი ერის სიამაყეს ზაქარია ფალიაშვილს. საინტერესოა ერთი პატარა ეპიზოდი: 1953 წელს თბილისის მასწავლებლის სახლის გამგებამ გალაკტიონს პოეტური მოღვაწეობის ორმოცდახუთი წლის-თავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაუმართა. სახლით გატყედილი დარბაზი მგოსანს ფეხზე ადგომითა და ტაშის გრიალით შეხვდა. გულთბილმა დახვედრამ მგოსანი ააღვლია. იყო მოხსენებები, სიტყვები, პოეტმა წაიკითხა ლექსები... შემდეგ კონცერტი გაიმართა. როცა მასწავლებლის სახლთან არსებული გუნდის ერთ-ერთმა წევრმა აბესალომის არია დაიწყო, გალაკტიონმა თავი დახარა და მღვმარედ მოისმინა. როცა თავი ასწია, თვალები ცრემლებით ავსებოდა...

— რა იყო, ბატონო გალაკტიონ? — ვვითხეთ გაოცებით.
— ოჰ, ზაქარია, ზაქარია, — თქვა მან. — უკვდავია მისი „აბესალომ და ეთერი“. არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიო მუსიკალური კულტურაშიც. იგი ერთ-ერთი უბრწყინველესი ნაწარმოებია...

— თქვენ უთუოდ ახლოს იქნებოდით ზ. ფალიაშვილთან...
— ჰო, ძალიან. იგი თავგამოდებით იბრძოდა საქართველოში მუსიკალური განათლების გასაფრცხვლებლად... როცა 1925 წელს საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტის მაღალი წოდება მიანიჭეს, მე მას ლექსი ვუძღვენი (არც კი მსხვერპლს დაიბეჭდა თუ არა)... და როცა მე 1933 წელს სახალხო პოეტის წოდება მიმანიჭეს, მან დღემით მომილოცა, ავად იყო... რამდენიმე დღეში გარდაიცვალა კიდევ..."

ჩვენ ისე გვეჩვენებოდა, თითქმის გალაკტიონი კინო-თეატრების სწორი სტუმარი არ იყო, არ აინტერესებდა ფილმები და სპექტაკლები, მაგრამ, როგორც ირყევვა, მგოსანი დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ყოველ ახალ ფილმსა და სპექტაკლს 1956 წლის შემოდგომაზე შემთხვევით გვეჩინა პოეტთან ერთად გვეხანა მოკლემეტრებიანი ფილმი „გალაკტიონის მოგზაურობა ვაშში“. გალაკტიონი აღტაცებით გვიყვებოდა:

— ოოო, რა დიდებულად იმეწყო ეს მოგზაურობები, განსაკუთრებით ვაშში, ჩემი ხალხთან შეხვედრის ყოველი მომენტის ფირფხვ ალიბეჭდა, ამის მეტი დაუმეგრებოთ თითქმის არც არსებობს ჩემი ხალხთან შეხვედრების დამდასტურებელი, სურათების გარდა... აღარ ვიკნები მე. თამაშავლობას დარჩება ჩემი პოეზია, მაგრამ დრო და ჟამი წაშლის და დავიწყებას მისცემს ჩემს გარეგნობას, დავიწყებას მიეცემა... თუ რას ვტყავი და რას ვსაუბრობ... მე კი მინდა ახი წლის შემდგომც მიხილონ აი, ასეთი (გალაკტიონი შეჩერდა, მარცხენა ხელი წვერზე მოსხვა, მარჯვენა მკერდზე მიიდა, თვალს, როგორც სწირად იცოდა ხოლმე ისე, მოჭუტა და ლაღად გაიყინა). ეს კი შესაძლებელია კინოთერებისა და ნაწილობრივ ფოტოსურათების საშუალებით. ნეტა ამ სურათს მაინც ვაუფრთხილებდობდნენ და არ დაკარგავდნენ...

ქართული ქანდაკების უკველაველი

ლელა შანიძე



აქართველოში არ არის სხვა ისეთი პოპულარული მოქანდაკე, როგორც იაკობ ნიკოლაძე. მას, პირველ ქართველ მოქანდაკეს, სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების ისტორიაში. ქართული პლასტიკის პირველი ნაბიჯები, მოქანდაკეთა ძლიერი სკოლის საფუძვლის ჩაყრა უშუალოდ და დაკავშირებულად იაკობ ნიკოლაძის სახელთან. იაკობ ნიკოლაძე დაიბადა 1876 წელს. მისი ჩამოყალიბება, როგორც მხატვრისა, ხდებოდა მაშინ, როდესაც აღმავალი განვითარების გზას დაადგა კულტურული ცხოვრების სხვადასხვა დარგები: ლიტერატურა, თეატრი, პროფესიული მუსიკა. ამავე წლებში გამოდიან ასპარეზზე პირველი ქართველი ფერმწერები: ალ. ბერიძე, გიგო გაბაშვილი, ალ. მრეველიშვილი და სხვ.

იაკობ ნიკოლაძის, როგორც მოყვარულის, პირველი სკულპტურული ნამუშევარი იყო 1897 წელს შესრულებული შოთა რუსთაველის ფიგურა. მომდევნო წლებში იგი სასწავლებლად მიემგზავრება ჯერ მოსკოვს, მერე ოდესაში, შემდეგ კი პარიზს. საფრანგეთში ყოფნამ, სადაც იმ დროს მდიდარი მხატვრული ცხოვრება იყო, უდადესი როლი ითამაშა ნიკოლაძის დასეულოვნებაში. მის ნაწარმოებებში მკაფიოდ ვლინდება პროფესიონალიზმი, რაც მოქანდაკე ა. ფალაგიერთან სწავლის ნაყოფი იყო. მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა

მისთვის სახელგანთქმულ ოგიუსტ როდენთან მუშაობას, რომლის ნაწარმოებებმა ერთ დროს გარკვეული გავლენაც მოახდინეს მასზე.

ნიკოლაძეს იზიდავდა როდენის შემოქმედება და იგი შეეცადა მასთან მოხვედრილიყო. ერთ წელზე მეტნაწ მუშაობდა იგი როდენთან როგორც თანამშრომელი და ამავე დროს დამოუკიდებლად ქმნიდა. ამ პერიოდის შესახებ ნიკოლაძემ შემდგომ მოგონებები გამოაქვეყნა სათაურით „ერთი წელი როდენთან“.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ნიკოლაძე გატაცებით შეუდგა საყვარელ საქმეს.

ი. ნიკოლაძის პირველი ნაწარმოებები (ეტიუდი „მოხუცი ებრაელი“, 1896 წ. „ლაო მესხიშვილის პორტრეტი“ 1897) ჯერ კიდევ არაპროფესიონალის მიერაა შესრულებული, მაგრამ უკვე პატარა ბიუსტი „ხვესური“ (პარიზი, 1900 წ.) ძალზე ემოციურია და მნიშვნელოვანი თემის თვალსაზრისით.

1900-იანი წლების დასაწყისში შექმნილ ნაწარმოებებში იგრძნობა ნატურის ღრმად შესწავლა. ისინი კარგად გადმოსცემენ მსგავსებას, პროფესიულად გაცილებით მაღლა დგანან, ვიდრე წინამორბედი ნამუშევრები. ანატომიური აგებულებისა და კომპოზიციის მხრივ სრულიად დამთავრებული ნაწარმოებებია ოსკარ შვედლინგის, შიო არაგვისპირელის პორტრეტები და ამავე პერიოდის სხვა ქმნილებები.


ნიკოლაძის ნაწარმოებთა დიდ ჯგუფში, რომელიც 1905 წელს და მომდევნო წლებშია შესრულებული (ზოგი საფრანგეთში ყოფნისას, ზოგიც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ), შედის: „ჩრდილოეთის ასული“, დავით სარაჯიშვილისა და კორნთლის ქალის პორტრეტები, „ქარი“, „პარიზული ქალი“, „სალომე“ და სხვ. ისინი გარკვეული, საერთო სტილისტიკური ნიშნებით ხასიათდებიან. „ჩრდილოეთის ასული“ მხაველელზე ზემოქმედებას ახდენს სულიერი სიღრმით, კომპოზიციის დახვეწილობით. ქანდაკების ქვედა ნაწილი, რომელიც ქვედადაგმის როლს ასრულებს, გამოკვეთილია მარმარილოს იმავე ბლოკიდან, რითაც მთელი ქანდაკება. ეს კომპოზიციური ხერხი პირველად როდენმა შეიმუშავა. „ჩრდილოეთის ასული“ გამოძირწილია გამჭვირვალე მარმარილოსაგან, რაც განსაკუთრებულ ეფექტს ახდენს.

გარკვეულად ისეთივე მიდგომით შესრულებულ კორინთლის პორტრეტში მოქანდაკის ამოცანაა შექმნას ნაზი, პოეტური, ქალური მხატვრული სახე.

ცნობილი ქართველი მრეწველის დავით სარაჯიშვილის პორტრეტში მოქანდაკის წინაშე სულ სხვაგვარი ამოცანა იდგა. აქ ხაზგასმულია პიროვნების ნებისყოფა და ინტელექტი. ამის შესატყვისად ქანდაკების ფორმა ენერგიული და მკაფიოა. ერთიანი, დატანჯვებელი ნაზებით შემოსაზღვრულ კონტურებში მოქცეული ქანდაკების დამუშავება რბილი და ნაზია.

პორტრეტების გარდა, ამ ჯგუფში შედის სხვადასხვა კომპოზიციები, კერძოდ „ქარი“ და „სალომე“, რომლის თემა იმდროინდელი მხატვრული თემატიკათაა ნაკარნახევი. ეს იგრძნობა მის საერთო გადაწყვეტაში.

„ქარის“ მასალა — შავი ფერის ქვა — ნიკოლაძისთვის



ნასრუბაძე

რამდენადმე უჩვეულოა. ქალის ფიგურა, მობრილი ძლიერი ჭავლისაგან, ქარის სტიქიური ძალის შთაბეჭდილებას ქმნის. ემოციური ზეგავლენით, მხატვრული ფორმის სრულყოფილებით, კომპოზიციის დახვეწილობით და შესრულების ბრწყინვალე ოსტატობით „ქარი“ ნიკოლაძის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია. ამ ნაწარმოებებში მხატვრული ეფექტი აგებულია პრილა და მჭკტილი ზედაპირების დაპირისპირებაზე. სახე და სხეულის შიშველი ნაწილები პრიალდება, დანარჩენი ადგილები კი ხაოიანი რჩება. ფორმათა დანაწევრება არ აღიქმება თვალით იმის გამო, რომ ზედაპირი თავისებურადაა დამუშავებული — პლასტიკური ფორმები ბოლომდე გამოვლენილი არ არის, დატოვებულია მარმარილოს ნახევარმიმტევი იანთი ფრა, რომელიც თითქმის ფორმებს ბურუსში ხვევს, არბილებს შთა მითის გადასვლებს. თემების დამუშავება თავისებურაა: ისინი გადმოცემულია რბილ, ფაფუკი მასის სახით, რომლის ზედაპირზეც მსუბუქი შტრიხები და ჩაღრმავებებია. ამ ნაწარმოებებში ინტენსიური და დახვეწილი მოდელირება აღიქმება განათების ცვლილებასთან დაკავშირებით. გადასვლები ამგვარადგვა გამოვლენილი. შუქის მიმართულების შეცვლასთან ერთად იცვლება საერთო შთაბეჭდილებაც.

ნაწარმოებთა ეს ჯგუფი ერთგვარად ახლოსაა როდენის ბოლო პერიოდის შემოქმედებასთან, მაგრამ ამასთან მას თვალსაჩინო განსხვავებაც ახასიათებს, რაც ქართველი ოსტატის დამოუკიდებელ მხატვრულ აზროვნებაზე მეტყველებს.

ილია
ჭავჭავაძის
საფლავის
ძეგლი
მთაწმინდაზე
(ფრანგენტი)

რეთლის ბიუსტი კი უფრო განზოგადებულია, რაჭვავჭავჭავაძის
ზიის ხალხურ გაგებასთანაა დაკავშირებული.

რეკლუეის წინა წლებში ნიკოლაძე ინტენსიურად მუშაობდა პორტრეტის დარგში. 1908-1918 წლებში შესრულებული ნაწარმოებები სუსტებით გარკვეულ, ერთიან სტილისტიკურ ხასიათს ატარებენ. ძირითადად ეს ქალთა პორტრეტებია (კუხუნიცვა, რაღვე, მაგალიოზილი, ეროლოვა, კულუბიაკინა). მოქანდაკე მათზე ნატურიდან მუშაობდა, რაზეც მეტყველებს ინდივიდუალური, ხანდახან ნატურალისტური დეტალიზაცია. ამასთან, ქალთა სახეები ერთგვარად იდეალიზებულია, რაც ვლინდება გამომეტყველების მსგავსებაში. ნაწარმოებთა ფორმა უფრო განზოგადებულია, ვიდრე აღინიშნება ნამუშევრებში. ქანდაკებათა ზედაპირები დაუნაწევრებელია, მოდელირება ენერგიული, მაგრამ ამავდროულად რბილი. ასეთი გადაწყვეტა თვით თემითაა ნაკარნახევი.

რეკლუეის წინა პერიოდში შესრულებულ პორტრეტებში ერთგვარი ცვლილება შეიმჩნევა მხატვრული მიდგომის თვალსაზრისით. მოქანდაკე თანდათან შორდება ძერწვის ცხოველხატულ მანერას და სულ უფრო და უფრო დასრულებულ პლასტიკურ ფორმებს ეძიებს.

1908-1918 წლებში ნიკოლაძის კომპოზიციებში თანდათან მტკიცდება მკაფიო არქიტექტონიკული ფორმა. თუ ამ პერიოდის პირველ ნაწარმოებებში კიდევ ვხვდებით „თავისუფალ“ ფორმას, შემდგომ წლებში იგი უფრო მკაცრი და ტექტონიკური ხდება. ზედაპირები დაუნაწევრებელია, დიდი ფართობებით. გამოსახული პიროვნების შინაგანი ბუნება გაცილებითაა წმინდა ემოციური ზეით: შედარებით მკვეთრი ნიშნავთაა შეცვლილი შინაგანი დინამიკით.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში ფართო ასპარეზი ეშვება მხატვრულ შემოქმედებას. საბჭოთა ისტატიკის წინაშე დგება დიდი ამოცანები, როგორცაა ლენინური „მონუმენტური პროპაგანდის“ გეგმა, ძეგლების კონკრეტული და ა. შ. ამასთან დაკავშირებით ნიკოლაძის შემოქმედებითი აქტიობა უსაზღვროდ იზრდება. სამხატვრო აკადემიის გახსნის დღიდან (1922 წ.) იგი უწყვეტად ხელმძღვანელობს ქანდაკების კლასს.

1925 წ. ნიკოლაძეს შემოქმედებითი მოღვაწეობის 25 წლის იუბილე გაუშვარეს, რაც ადასტურებდა ხელოვანის როლის ნამდვილ დაფასებას საბჭოთა მთავრობის მიერ. მთელი თავისი სიცოცხლე ნიკოლაძე შემოქმედებით და პედაგოგიურ მოღვაწეობას შეაღია და ყოველთვის მხატვრული ცხოვრების შუაგულში იდგა.

საბჭოთა პერიოდში მხატვრის თემატიკა მრავალფეროვანია. გარდა დაზღვრულ ქანდაკებაში ინტენსიური მუშაობისა, იგი ქმნის მონუმენტურ ქანდაკებებს. თავისი საუკეთესო ნაწარმოებები ნიკოლაძე პორტრეტის ჟანრში შექმნა. პორტრეტის უდიდესი ოსტატი, იგი თავის ძირითად მიზნად ადამიანის ფსიქოლოგიური სიღრმის გამოვლენებას ისახავს. მხატვრული ღირსებებით ეს არის ბრწყინვალე ქმნილებები, განსაკუთრებით ბოლო პერიოდის ნამუშევრები.

ნატურიდან შესრულებულ პორტრეტებში გამოსახულ პიროვნებასთან მსგავსება ზუსტადაა დაკიდული, ხოლო წარმო-

ნიკოლაძის რეკლუეისამდელ შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს ძეგლებს, თუმცა მათი ნაწილი არ განხორციელებულა, ზოგი კი მხოლოდ საბჭოთა პერიოდში დაიდგა.

ცნობილია, რომ XX საუკუნის დასაწყისში საქართველო ძალზე ღარიბი იყო მონუმენტური ხელოვნების ძეგლებით, ამიტომ გასაგებია მოქანდაკის ყურადღება ამ დარგისადმი.

ნიკოლაძის მიერ აღმართული პირველი დიდი ძეგლი იყო ილია ჭავჭავაძის საფლავის ძეგლი „მუხარე საქართველო“ (1908-1913 წწ.). ეროვნული თვითშეგნების აღმავლობის წლებში შექმნილმა ამ ქანდაკებამ უდიდესი გამოხმაურება გამოიწვია თანამედროვე საზოგადოებაში. ძეგლის აბაქტიტურა შესრულებულია ქართულ მხატვრულ ფორმებში, როგორც ეს მაშინ, განვითარების იმ ეტაპზე ესმოდათ. ალგორითული ხასიათის ეს ქანდაკება განყნებულ იდგას — მთელი ერის მიძიმე განცდას განასახიერებს. სიმბოლურ-ალგორითული გადაწყვეტით ძეგლი ახლის დგას იმ დროს გაგრძელებული მემორიული ქანდაკების მსოფლიო ნიმუშებთან.

სიმბოლურ-ალგორითულ ფორმებში ნიკოლაძემ კიდევ ერთი ძეგლი — დავით სარაჯიშვილის საფლავი შეასრულა, უფრო გვიან კი მხატვარი უარს ამბობს ამგვარ ფორმებზე. იგი ქმნის წვეტის პორტრეტისა და ფიგურის სახით, რომელსაც ათავსებს მაღალი, არქიტექტურული დეკორის ელემენტებით შემკულ კვებადგამზე. ეგნატე ნინოშვილისა და აკაკი წერეთლის ძეგლებში (1911 და 1915 წწ.) მიუხედავად იმისა, რომ ამოცანისადმი მიდგომის მხრივ გარკვეული ერთგვაროვნება (ორივე პორტრეტი — ძეგლია), ნაწარმოებები განსხვავდებიან ინდივიდუალური დახასიათებით. ნინოშვილის პორტრეტი შესრულებულია ხაზგასმით კონკრეტულად, აკაკი წე-

სახეით შესრულებულ ნაწარმოებებში იდეალიზაცია იგრძნობა.

ქარი

ნიკოლაძის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს რევოლუციურ თემატიკას, კერძოდ, რევოლუციის მოღვაწეთა პორტრეტებს, მათი ძეგლების ესკიზებს. აღსანიშნავია ფრ. ინგელის ძეგლი, რომელიც ჟუანისშია დადგმული. ამ დროის ნამუშევართა შორის თავისი მნიშვნელობით გამოირჩევა კამოს ძეგლი (ამჟამად აღარ არსებობს) საქართველოში ეს პირველი მრავალფიგურიანი ძეგლია.

ნიკოლაძის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ნაწარმოებთა დიდ ჯგუფს, რომელიც მიძღვნილია გლადიმერ ილიას ძე ლენინისადმი. ამ თემაზე მოქანდაკე თითქმის ოცდაათ წელს მუშაობდა. ნამუშევრებს შორის არის როგორც მრგვალი ქანდაკება, ისე რელიეფი (მაღალიც და დაბალიც); არის ბიუსტები, ფიგურული კომპოზიციები. მხატვარი სარგებლობს სხვადასხვა მასალით (მარმარილო, ბრინჯაო). ყოველ ახალ ნაწარმოებში, რომელიც ლენინის პორტრეტული სახის შექმნის ამოცანას ისახავს, იგი ახლებურად ხსნის სახეს, ახალ, დამახასიათებელ შტრიხებს ეძებს. ლენინის თემაზე მუშაობას ნიკოლაძე შეუდგა 1924 წ. (ძეგლის ასეიზი, რომელიც არ განხორციელებულა).

1925 წ. მოქანდაკემ შეასრულა ლენინის პორტრეტი, რომელიც 1926 წ. მარმარილოში გადაიტანა. ქანდაკებამ სულ სხვაგვარი ელვარადობა მიიღო. ამ ბიუსტში ხაზგასმულია ლენინის დიდი პუმაწურობა; მისი მჭვრა რბილი და თბილია, ამავე დროს მტკიცე, დაჯერებული. ქანდაკების ზედაპირი დანაწევრებულია, რაც ჩრდილ-სინათლის ძლიერ თამაშს ქნის.

30-იან წლებში ნიკოლაძე მუშაობდა შოთა რუსთაველის სახეზე. მან შეასრულა როგორც მრგვალი ქანდაკება, ისე რელიეფები, ბიუსტები და ძეგლის ესკიზები. ეს ნაწარმოებები ამოცანისადმი დეკორატიული მიდგომით ხასიათდება, განსაკუთრებით პატარა, ოვალური ფორმის ბარელიეფი, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ასლების სახით. ამავე დროს ნამუშევართა მნიშვნელოვანი ჯგუფი მიეძღვნა ილია ჭავჭავაძის სახის შექმნას. ილია ჭავჭავაძის პორტრეტებში ჩანს, რომ დიდ მსგავსებასთან ერთად, მოქანდაკის ამოცანა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სხვადასხვა იყო: პორტრეტში, რომელიც საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ინახება, ხაზგასმულია მშველი სიდაღაც, საგურამოს სახელმწიფო მუზეუმში დაკლები ბიუსტში — აზრის სიღრმე, წიწამურის რელიეფზე — მწუხარება. ეს პორტრეტები გამოირჩევიან დამთავრებულობით, მხატვრული დასრულებულობითა და ფსიქოლოგიური სიღრმით.

დიდი სამაშალო ომის დროს ნიკოლაძემ სამშობლოს დამცველთა პორტრეტების თემატიკა გააღრმავა შექმნა. გენერალ-პოლკოვნიკ ლესელიძის ძეგლი, რომელიც 1947 წ. დაიდგა, საინტერესოა ამ ადამიანის ბუნებაში წვდომით. ბრძოლებში გამორჩეული მამაცი მხედართმთავრის ძეგლი ერთგვარად ლირიკულ განწყობილებას ქნის. პორტრეტი ინტიმური მიდგომის ელემენტებს შეიცავს, მიუხედავად იმისა, რომ ძეგლი ნიშნუმტარია.



40-იან წლებში შესრულებულ პორტრეტთან განსაკუთრებით საინტერესოა ექიმ გვიმარაშვილის, მხატვარ გერასიმოვის, არქიტექტორ სვერიძის, მოქანდაკე ნინო წერეთლის პორტრეტები. ეს ნაწარმოებები გამოირჩევა მხატვრული განხილვის ხერხების ლაკონურობით, საერთო სისადავით. ბიუსტების კომპოზიციები ქარბობს არქიტექტონიკული ფორმა. აღინიშნებოდა პორტრეტებთან შედარებით, ამ ნაწარმოებებში მოქანდაკის მიდგომა პორტრეტული ამოცანისადმი ახალი მხატვრული მრწამსის შესატყვისადაა შეცვლილი. თუ აღინიშნებოდა ეტაპზე ფსიქოლოგიური სიღრმის გადმოსაცემად ნიკოლაძე რთულ მხატვრულ ხერხებს მიმართავს („ჩრდილოეთის ასული“, დ. სარაჯიშვილის პორტრეტი და სხვ.), მოვიანებით იგი უფრო მარტივ ტექნიკურ ხერხებს იყენებს. მხატვრული სახე იხსნება ნატურალისტან მაქსიმალური დაახლოების გზით. ამასთან შეფარდებით იცვლება ძერწვის მანერაც, იგი გაცილებით უფრო მატერიალური ხდება.

ნიკოლაძის შემოქმედების მწვერვალია მისი სიცოცხლის ბოლო წლებში შექმნილი ნაწარმოებები: „ჩახრუხაძე“ და „ლენინი“, „ისკრის“ პერიოდში“.

„ჩახრუხაძე“ ნიკოლაძის ერთ-ერთი ყველაზე შთაბრძნაველი ნაწარმოებია. მას არაჩვეულებრივი შემოქმედების ძალა აქვს. ქანდაკებაში იგრძნობება პოეტი და ფილოსოფოსი. კომპოზიციის იმერობეს ახალგაზრდობაში ხშირად გამოყენებულ ფორმას — თავი ამოზიდულია მარმარილოს ლოდინდ, ქვედა, ოთხკუთხედი ნაწილი ქვესადაგამოეთაა გადაწყვეტილი.



კუნეციას პორტრეტი

ეროვნული ტიპი ყველაზე მეტად ამ ნაწარმოებში იგრძნობა. ქანდაკება ყოველი მხრიდან დასათვლიერებლადაა განაგარიშებული, ამიტომაც ხედვის სხვადასხვა წერტილებიდან იგი სხვადასხვანაირია. ეს მიღწეულია ქანდაკებაში მსუბუქი ასიმეტრიის შეტანით და იგრძნობა როგორც კომპოზიციაში მთლიანად, ასევე ცალკეული დეტალების დამუშავებაში. „ჩახრუხაძეში“ ოსტატმა ილუზიონისტური ძერწვის ზოგერთი ხერხის გამოყენებით შექმნა სრულიად რეალური მხატვრული სახე.

„ჩახრუხაძის“ შემდეგ შექმნილი „ლენინი „ისკრის“ პერიოდში“ ბრწყინვალედ მეტყველებს ნიკოლაძის ზედამავალ შემოქმედებაზე. ხანში შესული ოსტატის მიერ შესრულებული ეს პორტრეტი მისი შემოქმედების მწვერვალია და ამტკიცებს, რომ მას არ შეეხება ხანდაზმულობით გამოწვეული ძალთა დაქვევითება. „ლენინი „ისკრის“ პერიოდში“ დაგვირგინებდა ნიკოლაძის მიერ ჩატარებული მუშაობისა ბელადის ღირსეული პლასტიკური სახის შესაქმნელად. თავიზი ემოციური, მხატვრული, პლასტიკური თვისებებით, ეს ნაწარმოები ერთ-ერთ პირველ ადგილს იკავებს საბჭოთა ქანდაკებაში საერთოდ, და ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახის უღალად ყველაზე სრულყოფილ გახსნას წარმოადგენს. მუშაობის დაწყებისას ნიკოლაძემ დიდძალი ფოტომასალა შეისწავლა და შემოქმედებითად მიუღდა მას. ბელადის სახე გამოსატყუდ ღრმა გულისყურის და არაჩვეულებრივ გამაჭრახობის, სიბრძნესა და შეუდრეკელობის. ყველაფერი აგებულია მხოლოდდამხოლოდ შინაგან ძალაზე. ყურადღება კონცენტრირებულია სახეზე. რო-

მელიც განზოგადებულად რაიმე დამახასიათებელი შიშკის გარეშეა მოცემული. ამ ნაწარმოების ორ ვარიანტში — ბრინჯაოსა და მარმარილოში — ნაილად ჩანს, თუ როგორ ოსტატურად ფლობდა ნიკოლაძე მასალას — ორივე ქანდაკებაში ზუსტად ის ნიუანსებია შეტანილი, რაც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში იყო საჭირო. ბრინჯაოში ეფექტი დიდად არის დამოკიდებული განათებაზე, ხანში, როცა მარმარილოში მხატვრული სახე აგებულია ფორმის შეგრძნებაზე. ამგვარად, ორივე შემთხვევაში მაქსიმალურადაა გამოყენებული შერჩეული მასალის თვისებები. „ლენინი „ისკრის“ პერიოდში“ გამოირჩევა ფორმის დასრულებულობით და უდიდესი პლასტიკური გამომსახველობით.

ნიკოლაძის მიერ შექმნილი ლენინის პორტრეტები უმაღლესი მხატვრულობით, ლაკონურობით, ღრმა ფსიქოლოგიურობით, გამოსახვის ხერხების სიძუნწით გამოირჩევა. ეს თვისებები თანდათან კრისტალდება ლენინის წინა პორტრეტებში და საუკეთესოდ გამოვლინდა ქანდაკებაში „ლენინი „ისკრის“ პერიოდში“.

ნიკოლაძის შემოქმედების მთავარი დამახასიათებელი ნიშანია ფსიქოლოგიური გამომსახველობის ძიება. პორტრეტებში მისი ძირითადი ამოცანა ადამიანის ბუნების მთელი სირთულისა და მრავალმხრივობის გადმოცემაა. ეს ჩანს ყველაზე მეტად მხატვრის მუშაობის ვ. ი. ლენინის სახეზე.

ნიკოლაძის ნაწარმოებები გარეგანი სტატიით ხასიათდება მაშინ არაა ძლიერი მოძრაობები, ყველაფერი დამყარებულია შინაგან განცდაზე. საუკეთესო ნაწარმოებებში კომპოზიცია უკიდურესად ლაკონურია, სრულიად თავისუფლია მეორეხარისხიანი დეტალებისაგან. ქანდაკებათა გამომსახველობას განაპირობებს შინაგანი ძალა, განწყობილება; ფორმები დასრულებულია; რეალური, კონკრეტული სახეები ზოგჯერ გადმოცემულია თავისუფალი ძერწვით. ცხოველხატული ძერწვა ნიკოლაძისათვის მხოლოდ საშუალებაა მხატვრული ეფექტის მისაღწევად. რეალიზმი ოსტატისათვის ნიშნავს რეალისტურად გახსნილ სახეს, რის მიღწევაზე ილუზიონისტური ძერწვის ხერხებითაც შეიძლება. ეს მეთოდი ეფუძნება „ჩახრუხაძეში“ იჩენს თავს.

ქანდაკების პლასტიკური თვისებებით, თემბაკის მრავალფეროვნებით, ფსიქოლოგიური გახსნის სიღრმით, ნაწარმოებთა დახვეწილი მხატვრულობით ნიკოლაძე არა მარტო ქართულ, არამედ მთელ საბჭოთა ქანდაკებაში ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებს. მეოთხედი საუკუნის მანძილზე საქართველოში ერთადერთი მოქანდაკე — იაკობ ნიკოლაძე იყო, დღეს კი ჩვენი ქანდაკების უძლიერესი სკოლაა და მრავალრიცხოვანი ოსტატები მუშაობენ. ამ საქმეში ნიკოლაძის დამსახურება განუზომელია. მისი მიწვეული შემოქმედებითი შემკვიდრება კი ნამდვილი განია.

საქართველოს სახალხო მხატვრის ი. ნიკოლაძის დღავლი ღირსეულად დაფასვა საბჭოთა მთავრობამ: იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, არჩეული იყო საბჭოთა კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილ წევრად, ორჯონიძის მიწიჭა სახელმწიფო პრემია.

ნიკო ფიროსმანაშვილის
ხელნაწერი
12/4 — 1892 წ.

ლილი ცხოვრების მიზინყაბული უჩრტლკი

ლეო გაბუნია
ივანე ჯავახიშვილი




ნობილია, რომ ხალხური მხატვარი ნიკო ფიროსმანაშვილი ერთ დროს რკინიგზაზე მუშაობდა. მისი ცხოვრებისა და შემოქმედების მემკვიდრეობა დაუკითხავთ ფერმწერის ნაცნობ-მეგობრები, რომელთაც დაუდასტურებიათ, რომ ფიროსმანაშვილი უბრალო რკინიგზელი იყო. მხატვრის ცხოვრების ამ პერიოდზე განსაკუთრებით ცოტა ვიცით, კ. ზდანევიჩის მონოგრაფიაში ნიკოს ბიოგრაფიის ამ მონაკვეთს მხოლოდ რამდენიმე სტრიქონი ეთმობა.

ჩვენ შევეცადეთ ამ ხარვეზის რამდენადმე შევგება. ფიროსმანის ქუჩაზე ვინახულეთ უხუცესი რკინიგზელი, პენსიონერი აგუსტინი დოლაბერიძე, რომელიც პირადად იცნობდა მხატვარს.

„ნიკო რკინიგზელთა შორის ტრიალებდა, — თქვა მან, — სადგურის პირა „შიოს მარანშიც“ ხშირად ჩავსულვართ, პური გვიჭამია. ერთ დროს სამიკიტნი „უარიაგის“ კედლებს მისი „ორი რკინიგზელი მეგობრის პორტრეტის“ ამშვენებდა, მისივე ნამუშევარი იყო „რკინიგზელ მოხელეთა სადილი“. ისეც გამეორია, ვაგონის გათოშილი ფანჯრის მიწაზე სადგურის უფროსის სურათი დახატაო. ბევრჯერ მინახავს სამიკიტნოს ერთ კუთხეში განმარტებით იჯდა და რაღაცას ხატავდა. მისი ნიჭის ავან-ჩავანი მაშინ რა ვიცოდი. თურმე რა ყოფილა საწყალი ნიკოლა! არაერთხელ მოგვიწვევია სუფრასთან და ჭიქა ღვინით დაველოცინებართ“.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს არქივს არაერთგზის მივაკითხეთ. არქივის გამგებ ნადეჟდა გრიშინამ დახმარება აღმოგვიჩინა და გადმოგვცა „ნიკოლოზ ფიროსმანაშვილის საქმე № 2167“. ჩაყვითლებული სასამსახურო თავფურცელი გვაუწყებს, რომ 1890 წლის 14 აპრილს [თარიღები ყველგან ძველი სტილით არის მოტანილი] ნ. ფიროსმანაშვილს საეიქმო შემოწმება გაუვლია და ოთხი დღის შემდეგ რკინიგზელის ფორმა ჩაუცვამს. მცირე ხანს სადგურ მიხაილოვოში [ხაშურში] უმსახურია, მერე ელიზავეტპოლში [განჯა] გადაუყვანიათ სატვირთო მატარებლის მემუხრუქე-კონდუქტორად.

ნიკოსათვის ავბედითი აღმოჩნდა რკინიგზაზე სამსახურის პირველივე წელიწადი. უცხო გარემო, უჯარისა და ევლახის



ნ. ფიროსმანაშვილის ხელნაწერი, რომელიც შეეძლოდა, რომელიც პირადად იცნობდა მხატვარს.

ნიკოსათვის ავბედითი აღმოჩნდა რკინიგზაზე სამსახურის პირველივე წელიწადი. უცხო გარემო, უჯარისა და ევლახის



ქართული ენის ლექსიკონი

საქართველოს ენის ლექსიკონი

საქართველოს ენის ლექსიკონი

საქართველოს ენის ლექსიკონი... მისი მნიშვნელობა... მისი მნიშვნელობა...

საქართველოს ენის ლექსიკონი

1893 წლის იანვარი 5-ში

წი ერთხელაც შევხვდებით არ მისარგებლია... საბუთებით ირკვევა, რომ მოძრაობის სამსახურის უფროსმა მისი „უკვეშეფერდომილების“ თხოვნა უშედეგოდ დასტოვა...

როგორც სხვა საბუთებით ჩანს, ამ დროისათვის ნიკო ფიროსმანაშვილს საკმაოდ შერყევია ჯანმრთელობა. იგი უჩივის ციებ-ცხელებას, სახსრების რევმატიზმს, ტკივილებს გულ-მკერდის არეში... უფროსის უფროსის, რათა ამ შემადგომლობა აღუძრას მოძრაობის სამსახურის უფროსის წინაშე...

მცირე, მათხორეულ ხელფასს, შრომის აუტანელ პირობებს ჯარიმებზე დაერთო, იგი სამსახურ დააჯარიმეს. საინტერესოა ერთი მათგანის ისტორია.

საარტიფო მასალაში ინახება მთავარი კონდუქტორის სოლომონ პაიჭაძის პატიაკი. პაიჭაძე ნიკოს ბრალს სდებს ბრძანების შეუსრულებლობაში. ამის გამო 1893 წლის 9 ივნისს ავადმყოფი კონდუქტორი შემადგენლობიდან მოხსნეს და ევლახის სადგურში დასტოვეს. „მატარებლის გასვლისას, — წერს მამიყველი, — ფიროსმანაშვილი ქართულად დამიშუქა: „მე შენ გაივისწორებებიო“, მაგრამ არ ვიცი რა სურს გამიყვეთოს... ყოველივე ეს შეუძლია დადასტუროს ბატონმა ზინკევიჩმა. ამიტომ უფორჩილვად გთხოვთ ჩემი პატიაკი გადაუგზავნით ბატონ უფროსს მოძრაობის კანტორაკში.“

თავის ასხნა-განმარტებში მარტაჟის აგენტმა ფ. ზინკევიჩმა მხარი დაუჭირა მთავარ კონდუქტორ პაიჭაძეს. მოძრაობის სამსახურის უფროსის სახელზე გაგზავნილ მოხსენებით ბარათში ფიროსმანაშვილი დაწერილებით აღწერს ამ არასასამართლო ინციდენტს. მოგვყავს ხელნაწერის ქართული თარგმანი:

„თავიდან რა № 47 მატარებელს, ა. წ. 9 ივნისს ევლახის სადგურში დაიწვეს მანერები. მე ვუცდიდი მანერების დაშთაფრებას, რათა გამომეხა სასუბიტი გადამხილი მატარებელი. უცერად კანტორიდან გამოვიდნენ მორჩევი აგენტი და მთავარი კონდუქტორი პაიჭაძე, დამიწვეს ყვირილი — რატომ არ მოვიმზადებია შემადგენლობა, ალბათ, გძინავსო. მე ვუპასუხე, რომ ჯერ ერთი, ეს არის მატარებელი ჩამოაყენეს, მეო-

ნიკო ფიროსმანაშვილის ხელნაწერი

6/X — 1893 წ.

მყარლი ტაობები, წვიმასა თუ თოვლ-ყინვამი ღია ბაქენება და ლიანდაგებში ხეტიალი, მატარებელში მუდმივი ორპირქარი არც თუ ისე ადვილი ასატანი შეიქნა მისი სუსტი ორგანიზმისათვის — 28 წლის ახალგაზრდა მშობლებსა და ნათესავებში ცხოვრებაზე ოცნებობს.

ტაობები კონდუქტორის ამ სურვილზე მტკიცელებს მისი თხოვნა ელზავეტპოლის სადგურის უფროსისადმი, 1891 წლის 6 მაისით დათარიღებული. ნიკო წერს: „ხანდახმულობისაგან დაძღულებული ჩემი მშობლები ტფილისში იმყოფებიან... და აღნიშნავს, რომ მას სახსრები არ გაჩანდა „მათ დასახმარებლად“. აღმინისტრაციას სთხოვს თვითონაც იქ გადაიყვანონ, ან უკიდურეს შემთხვევაში, ადგილობრივ ბინა მიანიც გამოუწახონ.

ორი წლის მანძილზე თავალებელმა შრომამ და მალარიამ მიდამოებში ცხოვრებამ 6. ფიროსმანაშვილის ციებ-ცხელება შექყარა. ამან ახალგაზრდა კონდუქტორი აიძულა 1892 წლის 18 აპრილს სადგურის უფროსისათვის თხოვნით მიემართინა — გზის მოძრაობის სამსახურის უფროსის წინაშე შეამდგომლობა აღმობართო ერთი თვის შევადლება მომცესო. იგი წერს, რომ ოჯახური პირობების გამო აუცილებელია მისი გამგზავრება, თან დასძენს — „ჩემი სამსახურის განმავლობა-



რეკ — მთავარმა კონდუქტორმა ერთი კონდუქტორი შინ გაუწავა, მეორეს მებარეკ კონდუქტორობა დააკისრა, მესამე უკან გაბრუნდა. მარტო ვე სად შემელო მთელი მატარებლის შედგენა. ისევე ავად ვიყავი, ხელფები მიკანაკალბდა. მეტისზეტად დასუტებულს უკვე არ შემელო მატარებლის გაცილება, რისთვისაც ჩამოვიჩინე № 47 მატარებელს. ვანა ჰქონდა უფლები მთავარ კონდუქტორს № 47 მატარებელზე დანიშნული კონდუქტორი მინდევია და მთელი სამუშაო ჩემთვის — ავადმყოფი გაციანათვის დაეცისებინა? მაქვს პატივი უმორჩილესად ვთხოვო თქვენს მაღალკეთილშობილებას გასცეთ განკარგულება, რათა უმართებულად დადებულთ ჯარინმა სამი მანეთი ვერცხლით, მომიხსნან. ამასთან გიდგენთ კონდუქტორის უწყებას“.

5. ფიროსმანაშვილის 1893 წლის 10 ივლისის ეს ახსნა-განმარტება, ისევე, როგორც მის მიერ მოძრაობის სამსახურის უფროსისადმი გაგზავნილი პატიკი, თბილისშია დაწერილი. ამასთან საბუღებო ჩრიკვევა, რომ 1893 წლის 9 ივნისს 5. ფიროსმანაშვილს სამკურნალოდ დახმარება [150 მანეთი] და ორი თვის შევებულება უთხოვია. ავჯერად შევებულების ნებაზრავისთვის მისივე საღებრო მაქვს მიითხოვნი. მოძრაობის სამსახურის უფროსისადმი თხოვნას „ორი თვეთ სამკურნალოდ გამაგირიანი შევებულების“ ნებაზრავზე ხელმოწერის შემდეგ, აქვს 5. ფიროსმანაშვილის მიწაწერი: „ავგრეთვე [თხოვთ] მოცემთ ბილეთი სადგურ ტელიონიდან სადგურ მიხაილოვომდე [ხაშური] და უკან“.

როგორც იმავე წლის 15 სექტემბრის საბუღებო ადასტურებებს, 5. ფიროსმანაშვილს ორი თვე უმკურნალია და გზის საერთო საკრებულოს წინაშე უშუამდგომლობა აღურავს აბასთუმანში მინერალური წყლით მკურნალობისას გაწეული ხარჯები — 150 მანეთი, ერთდროული დახმარების სახით მიეცა. მისთვის მკურნალობა რომ ნამდვილად საჭირო იყო, ამის დასადასტურებლად ნიკოს ა. კ. რეინიზის საერთო საკრებულოსათვის საექიმო ცნობა № 16 წარუდგენია. მიიღო თუ არა 5. ფიროსმანაშვილმა ერთდროული დახმარება, საბუღებოში არა ჩანს.

ორიოდ სიტყვა თვით საბუღებოს შესახებ. ჩვენ შევარჩიეთ და ფოტოფირზე აღვებუდეთ ერთნაირი გაკრული ხელთ

წაწერი ოთხი დოკუმენტი. ამ საბუღებოსა და სხვისი ხელმოწერილ დოკუმენტებზე ნიკო ფიროსმანაშვილის ხელმოწერის იგივეობა ეჭვს არ იწვევს. საქართველოს სსრ ხელთნების მუხეშუმში გამოფინილ სურათებზე ავტორის ვაგირ რუსულად ბეჭდური გამოხის ფორმით არის მიწერილი. მიუხედავად ამისა, მანინე შემინენვა ხელის მსგავსება, ტექსტების დაჯერებებით წაითხვას მიყვავართ დასჯენამდე, რომ ისინი რუსულის ვაგირიანად მცოდნეს მიერ არის დაწერილი. ამრიგად, დასტურდება ელიზავეტპოლის სადგურის უფროსის მიერ გზის მოძრაობის სამსახურის უფროსისადმი გაგზავნილი ცნობა, რომ ნიკო ფიროსმანაშვილი „ლაპარაკობს (რუსულად) უარესად, ვიდრე წერს“. ოთხივე საბუღებო ამაზე მეტყველებს.

კიდევ ერთი შეყვილებული ფურცელი.
„...თქვენდამი რწმუნებულ ჩრინიგზაზე ოთხ წელიწადს ვიმუშავე. აქ მივიღე ჭირნიკული სურდო და გულ-მკერდის დაავადება. ზაფხულში გულ-მკერდის ტკივილები მტანჯავს, ზამთარში კი სურდო. სურდო მატარებელზე ძლიერი ორპირი ჭარისკაცან მივიღე, ხოლო გულ-მკერდის დაავადება უკარის ჭაობთა მყარად მაქრისკაცან. ვვადინერებდი მოგასენით, რომ აღარ ძალმის სატვიროთ მატარებელზე მუშაობა... ვთხოვო კუთვინილი მიზობით და განათავისუფლოთ სამსახურიდან.“

ნიკოლოზ ფიროსმანაშვილი,
1893 წლის ნოემბრის 5“.

ზემოაღნიშნული საბუღებოს მიკვლევა გვიკარანახებს, რომ 5. ფიროსმანაშვილის ცხოვრების დაფანტული ფურცლები უნდა ვეფიით არა მარტო მიზნახანსა და თბილისში, არამედ ხაშურშიც, აბასთუმანშიც, კიროვანბაშიც.

1894 წლის დამდეგს ახალგაზრდა კონდუქტორმა საბოლოო ავარიის მიიღო და სახაზინო ინვეტარის სხვას გადააბარა.

ამ დღიდან 5. ფიროსმანაშვილის შემოქმედებით ცხოვრებამი დაიწყო ახალი ხანა. ამერიიდან მას ხელდინად არ გაუვლია ჯადისწერი ფუნჯი. თუმცა, ეს ხანაც არ ყოფილა უცვლო და ვარდყვავილებით მოფინილი, მარტამ სიყვარულის, სიკეთისა და საინოების მომდურლამ მშობელ ერს, გაციობრინობას ხელთუქმენილი განძი დაუტოვა.

„ნიონ რევიკი დანი“ თბილისში

ქ მასწავლო საბარტის სასახლდში ჩაბარდა იაპონური ვარიტეტი „ნიონ კადევი დანი“ გასტრალიში. ეს ანსამბლი ჩვენს დეკაქალქს პირველად ეწვია, ხოლო მისკოვდმა მყურებელმა იგი ჯერ დაი 1965 წელს გაიცნო.

დას 1922 წელს შეიქმნა ქალაქ ოსაკის, როგორც იაპონიის ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი კინემატოგრაფიული ფირმის „ნიონი“ კინემატოგრაფიული ფირმის განყოფილება. დეკემბერში შედგა პრემიერა. მისი მთავარი როლი იყო „საიათს ცეკვა“ პონიკილისი იპეირა „ჰოკონდადანა“. მალე დას სპე-

ციალური თეატრი აუშენეს. ახალ შენობაში სტრინი გაიხსნა მიუხ „არტეზიანელი ქალის“ პრემიერით. თვალპირველად კოლექტივის რეპერტუარი შედგებოდა მხოლოდ ცერპაული ცეკვების პროგრამისაგან. ხოლო 1926 წლიდან, დასმა მიიღო ეროვნული იაპონური სახე ზილო. პირველი ეროვნული ხასიათის წარმოდგენა იყო „გაჯახუხულის ცეკვა“.

შემდგომ წლებში თეატრის სცენამ ტექნიკური ცვლილებები განიცადა. რამაც დეკორაციების სწრაფი შევლის საშუალება მისცა, დაიბეჭვა წარმოდგენები, დასმა თანდათან რევიუს სახე მიი-

ლო. დასში ახალი ძალების მიღებამ, პოპულარობამ და აღიარებამ განაპირობა 1934 წელს ახალ შენობაში — ოსაის ოცეატრი გაეახლდა, სადა იგი აღმუშვე წარმტეხით გამოიღოს.

1933 წლიდან ბრწყინვალე „ნიონი კადევი დანი“. მაღალსატყულო წარმოდგენებისათვის დასი იაპონიაში არა ერთხელ დაეწოდებოდა:

იაპონიელმა თბილისელებს წინაშე ვაფინს პროგრამა ორ განყოფილებად წარმოადგინეს. პირველი ეროვნული „დიდი წარმოდგენა — ბრწყინვალე ფიტაზოია“, მეორეს „გრად რევიუ — რევიუ რევიუდან“, თბილისელს მყურებულებს მოწონება დაიმსახურეს ცეკვებმა: „ნანაში“, „ირისის ცეკვა“, „დიდი ურჩხული“, „კარნავალი“, „პარაიზი“, „დიდის ზეიმი“, „ინდური ცეკვა“ და სხვ.



კინო რეჟოლუციულ საქართველოში

ვლენტინა ცომაია



ბილისელები ერთი წლით გვიან — პეტერბურგელი და მოსკოველი მაყურებლის შემდეგ გაეცნენ „ლუმიერის სინემატოგრაფს“.

გაზეთი „ტიფლისსკი ლისტოკი“ 1897 წლის პირველ მაისს იუწყებოდა: „შაბათს, 3 მაისს (შედგება) ლუმიერის სინემატოგრაფის (მოდრავი ცოცხალი ფოტოგრაფიის) დემონსტრირება“.

ახალმა სანახაობითმა ატრაქციონმა მოხიზლა თბილისელი მაყურებელი. მაისის სამი დღე, რომლის განმავლობაშიც ჩამოსულ კომერსანტს ბიზნესის გაკეთების საშუალება მიეცა. დიდხანს დარჩა თბილისელთა მესხიერებაში. ისინი პირველად უზიარნენ ახალ ხელოვნებას. მაგრამ მიუხედავად წარმატებისა, „ცოცხალი ფოტოგრაფია“ 1900 წლამდე თბილისში აღარ გამოჩენილა.

1900 წელს ფოტოგრაფმა დავით დიღმელოვმა თბილისში შემოიტანა სინემატოგრაფის წინამორბედი — „ჯადოსნური ფარანი“, რომელიც დიაპოზიტელებით და განათების დანადგარებიანად მოსკოვში, შვაბეს ფირმაში შეუქმნია¹.

დავით დიღმელოვმა თავის ვაჟიშვილ ალექსანდრესთან ერთად გარკვეულ წარმატებას მიაღწია — მათ შესძლეს ერთი ფარნით ეჩვენებინათ უძრავი სხეული, ხოლო მეორე ფარნით უშვებდნენ მასზე მოძრავ საგნებს. ამგვარად — რკინიგზის ხიდზე გადიოდა მატარებელი, მეფარანე ანთებდა ფარნებს, ტბის სარკისებურ ზედაპირზე დაკურავდნენ ნავეები და ა. შ.

მალე დიღმელოვების მხატვრული ფონდი ილუსტრაციებითა და სამხატვრო ნაწარმოებებით შეიცო, რომელთა შორის ყველაზე შთამბეჭდავი იყო ზიჩის ილუსტრაციები შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისათვის“.

თანამხედვე კავკასიის ოლქის მეურვის 1900 წლის 6 ოქტომბრის ნებართვისა (№ 12333)². დიღმელოვები თავის დიაპოზიტეებს უჩვენებენ გიმნაზიუმში, რეალურ სასწავლებლებში, ყაზარმებსა და ა. შ. გაოცებულ მაყურებელსაჩუქრობდა „X X საუკუნის სასწავლებლის“, „მოძრავ სურათებს“. მაგრამ იმავე — 1900 წელს „ჯადოსნური ფარნით“ დიღმელოვების მოღვაწეობა შეწყდა თბილისში ერთი საქმისნის ჩამოსვლის გამო, რომელსაც სასულდგარეთიდან ჩამოტანილი ჰქონდა საპროექციო აპარატი და ძმები ლუმიერების რამდენიმე მოკლემეტრაჟიანი ფილმი. მაგრამ კომერსანტი მალე დარწმუნდა, რომ ვერ შესძლებდა ამ აპარატის თავისი სურვილისამდგომე გამოყენებას და იგი დიღმელოვებს მიჰყიდა.

ალე და ლამეს ასწორებდა ალექსანდრე დავითის ძე დიღ-

მელოვი ახალი აპარატის შესასწავლად. მრავალი წლის შემდეგ კი ეს ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი ოპერატორი თავის მემაურებში წერდა: „ველურივით ვათვალისწინებდი პირველ საპროექციო კინოაპარატს, არავითარი წარმოდგენა არ მქონდა მის მოწყობლობაზე, მაგრამ მაინც ვგრძობდი, რომ ჩვენი მიზნები, რომ ჩვენი ცდები „დიადი მუნჯის“ პაროდისა წარმოადგენდა. ხიდზე გამავალი მატარებელი, მეფარანე და ნავეები — ეს ყველაფერი მომეაყვადე, გამგავალული „ჯადოსნური ფარნის“ უკანასკნელი დიმილი იყო“³.

კინოაპარატის საშუალებით დიღმელოვებმა გაამრავალეს ფიროვნების თემათი პროგრამა. იგი სამი ნაწილისაგან შედგებოდა. ორი მთავანი ცოცხალი სურათები — უკვე ცნობილი იყო მაყურებელთათვის, ხოლო მესამე გახლდათ ლუმიერის კინემატოგრაფი. 1900 წლის ბოლოს მამა-შვილი დიღმელოვები „ჟონ მირის“ ფსევდონიმით იწყებენ საქართველოში მოგზაურობას. ისინი თვითან „სურათებს“ უჩვენებენ ზესტა-ფონში, ბორჯომში, სურამსა და სხვა ქალაქებში. 1902-3 წლებში ანალოგიურ მოგზაურობას აწყობენ ყარსში, ელიზავეტპოლში, ბაქოსა და სხვ.⁴.

ალექსანდრე დიღმელოვი სწავლობდა შექმნილ აპარატს და მასში ზოგიერთი საკონსტრუქციო ცვლილებანიც შექმნიდა, აუქმობესებდა. შემდეგ მან მუშაობა დაიწყო კინომეტაჟიკოსად გოლოვინის პროსპექტზე, თბილისის პირველ კინოთეატრ „ილუზიონში“ კინოამპლირაციებელ ივანეცკაისთან.

1904 წლისათვის თბილისში უკვე არსებობდა პრეტენციოზული სახელწოდებების მთელი რიგი კინოთეატრებისა, რომლებიც ძირითადად 50-60 კაცისათვის იყვნენ განკუთვნილი. ამავე პერიოდში იქმნება საზოგადოებრივი კინოთეატრები და ცის ქვეშ — „სინემატოგრაფი“, „პროექტორი“ და ა. შ.⁵.

1901 წელს მუშტიდის ბაღში ივანეცკაია აშენებს იმდროისათვის საქაშად დიდ საზოგადოებრივი კინოთეატრს — 150 მაყურებლისათვის.

რას წარმოადგენდა იმდროინდელი კინოსანახაობა? მას ჯერ კიდევ ახაფერი ეცხო კინოხელოვნებისა. ძირითადში უჩვენებდნენ უსულო, განსაკუთრებით, ფრანგულ ფილმებს. სქანსის ხანგრძლიობა განისაზღვრებოდა 30-დან 60 წუთამდე. პროგრამა 5-6 მოკლემეტრაჟიანი ფილისისაგან შედგებოდა.

¹ შ. ალხაიშვილი. კინემატოგრაფიის პირველი ნაბიჯები საქართველოში. ჟურნალი „На рубеже Востока“, 1936. № 1; ² ა. დიღმელოვის პირადი არქივი.

³ დიღმელოვის პირადი არქივი. მოკონსტანი. ⁴ დიღმელოვი. ოპერატორის მოგონებანი. ვახ. „კინო-რეპროტიკ“ 1964 წ. შ. № 1, XI. ⁵ ЦИНА СССР ф. 204. оп. 1. Д. 1584, л. 47.

ფილმების ჩვენებას თან ახლდა მუსიკალური გაფორმება. ეგრანზე მომხდარ ამბებითან მეტნაკლები თანამეწყობით ფორტიპიანოზე სრულდებოდა ფრაგმენტები კლასიკური და თანამედროვე მუსიკიდან. სეანსის პრიორაშაში, როგორც წესი, ზღიდა „ხელითი“ ლენტები, „კინოქრონიკა“, „ფერია“, „კინორამა“ და „კომიკური“ ფილმები. გარდა „ხელითი ფილმების“ მცირე ნაწილისა, რომლებიც მაყურებელს აცნობდა ჯერ არანაულ ამბებსა და მოვლენებს, ყველა დანარჩენი ლენტი მიზნად ისახავდა მაყურებლის გაოცებას.

კინოსტრუქციის ნ. ლებედევი სამართლიანად უწოდებს ამ პერიოდს „ატრაქციონულს“ კინოს ისტორიაში. „თუ თავდაპირველად ატრაქციონული იყო თვით ფაქტი ცოცხალი ფორტრაფისა, — წერს იგი, — მიმდევრო წლებში ფილმების ფაბრიკანტები ცდილობენ დაამატერესონ საზოგადოებრიობა ფირზე აღბეჭდილი ატრაქციონული სანახაობით“. გასაქირავებულ ფილმების შინაარსზე კოველგვარი კომენტარების გარეშე მუითითებენ მათი სახელწოდებით: „წყველი მღვიმე“, „სიღვდრა შეჯიბრი“ და ა. შ. ამ ფილმების უმრავლესობა გამოირჩევა უკიდურესი სიცარიელეთა, უხამსობითა და უპატივითით. ისინი დაადებდნენ კვირო მესაკუთრობის სწინაშე, ხობტას ასხამდნენ ღარიბთა შემრიგებლობასა და მდიდართა სურბატელობას. კომიკურ ფირებში „ამხელდნენ“ ნეუზოვებს, მუარეულებს, შინამსახურეებს, წვილი ჩინოფიკებს, რომლებიც ისწავაფოდნენ ტიტულის მქონეთა და ფულიან ბობოლათა შორის თანასწორუფლებიანობისაკენ. „ფერებში“ ხშირად უჩვენებდნენ ორსროვან, უდიერ სიუჟეტებს, ზოგჯერ კი პორნოგრაფიულ სცენებსაც.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს უარყოფითად მოქმედებდა მაყურებელზე — თიშავდა მას საზოგადოებრივი ცხოვრებიდან, კლასობრივი ბრძოლიდან, ადარაფერს ვაშში იმაზე, რომ კინო ბურჟუაზიულ მორალსა და სულელურ გემოვნებას ქადაგებდა. ჩვენი საუკუნის დასაწყისში მომხდარი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენები — მრეწველობის აღმავლობა, ეკონომიური კრიზისი, რევოლუციური მოძრაობა, 1905-7 წლების რევოლუცია იმდროინდელ ეგრანზე არ ასახულა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ სენსაციის ძიებაში „მშები პატეს“ ფირმამ დადგა (ან როგორც მაშინ ამბობდნენ) „ალადენინა“ მთელი რიგი პოლიტიკური მოვლენებისა, რომლებმაც მოსოფლიო საზოგადოებრიობა აღაფრთოვანა. მიუხედავად ამისა, ამგვარად შექმნილი „სისხლიანი კვირა“, „აჯანყება კავშირისან“, „პოტიომკინისე“ — რუსეთის ეგრანზე არ გამოულა, იგი მეთვის რუსეთის ცენზურამ აკრძალა.

რუსეთში კინოს გავრცელების პირველი 10-11 წლის განმავლობაში „რუსული თემატიკის“ ფილმები კანტიკუნად თუ გამოჩნდებოდა ისიც ისეთი შინაარსით, როგორცია „ნიკოლოზ II-ის მეფედ კურთხევა“, „სასწაულმოქმედი ღვთისმშობლის ხატის გადასვენება“ და ა. შ.

როგორც ცნობილია, გარდატეხა 1907-8 წლებში იწყება რუსული ფილმების კინოწარმოებით. საწარმოო დეპრესიას, რომელიც რამდენიმე წლის გრძელდებოდა, ცვლის გამოყოცხლება. კაპიტალისტების ყურადღებას იპყრობს წარმოების ახალი დარგი — კინოსაქმე. იზრდება კინოთეატრების რიცხ-



აკაკი და მისი თანხლები პირები რუკა-ლენკხუში მოგზაობისას. მარცხნიდან მარჯვნივ: I რიგში: ვ. ნაკელიშვილი (ლელ ბუჯანელი), ი. მერკელიაძე, ს. დათვიძე; II რიგში: ვ. დიასმიძე, აკაკი წერეთელი, ვ. პეტრაშვილი. III რიგში: ფილმის ოპერატორი ვ. ამაშუელი, კ. აბდულმოვლილი, ი. ისაკაძე, ე. ქავთარაძე, ი. ვანზე ვ. წერეთელი (აკაკის ნათესავი).

ვი, მათი ტევადობა, შენდება სპეციალური შენობები კინოსთვის. კინოს საზოგადოების ყველა ფენა ეტანება. რეპრეტუარი კი კვლავ წინანდებურად საზღვარგარეთული ფილმებისაგან შედგება. გამოინახლის წარმოადგენს რუსული თემატიკის კინოქრონიკა.

ფხიანი თბილისელი საქმისნებიც იძენენ ახალ აპარატურას, ხსნიან ახალ-ახალ კინოთეატრებს. ფილმების გაქირავებით ლულ უფრო მეტ მოგებას იღებენ. სხვებთან ერთად ახალი აპარატი შეიძინა კინოგამქირავებელმა ს. ივანიკიამაც. აღექანდრე დილმლოვი, რომელიც მის კინოთეატრში მუშაობდა კინოშექნიოსად, სწავლობს ამ ახალ აპარატურას, ეცნობა სპეციალურ ლიტერატურას. იგი ლულ უფრო იმტკავლება იმ აზრით, რომ თვითონაც შექმნას ფილმები მშობლიურ საქართველოზე.

ფორტრაფისა და საპროექციო აპარატურის საფუძვლიანმა ცოდნამ და ოპერატორად გახდომის დიდმა სურვილმა თავისი გაიტანა. 1910 წელს ა. დილმლოვი მოელაპარაკა ივანიკიასს საკუთარი კინოქრონიკების გადაღების თაობაზე. მოსკოვიდან საჭირო მოწყობილობების მიღებისანავე შეულდა იგი ადგილობრივი ცხოვრების ამსახველი ქრონიკაური ფილმის გადაღებას და დამუშავებას.

პირველი ფილმი ა. დილმლოვმა თბილისის ოპოდრომზე გადაიღო. თიბექციმა აღბეჭდა გაქუნებულ ცენებში, საზეროდ გამოწყობილი მანდლისნები, „გულშემატკივრები“ და გაქაფულ ცენებზე მსდომი დოლმი გამარჯვებულები.

სარგებლო დანიტრესებელი ივანიკიაცაა ფილმის ნახვისთანავე მიხვდა, რომ მას წარმატება ელოდა. ამიტომ სასწრაფოდ დაუკვირა სენსაციური აფიშები და გადაწყვიტა ყოველი სენსის დაწყების წინ ახალი ქრონიკა ეჩვენებინა. მისი მოლოდინი გამართდა — ხალხი კინოთეატრს მოაწარდა, ყველას აინტერესებდა, თუ როგორ გამოიყურებოდა ეგრანზე მშობლიური ქალაკი, ნაცნობი ადგილები, სახეები.

სულ მალე ეგრანზე გამოჩნდა ახალი ფილმები: „ნადირობა ირმების ჯოჯუ ელახსა და ყრაიასში“, „ქიმაბინის კათალიკოსის მირინცხება“, რუსი მფრინავების — უტოკი-



ნის, ვასილევის და პირველი ქართველი მფრინავის ქებურიას გაფრენები, „ლადო მესხიშვილის იუბილე“, „აკურთხევა მუხრანის ხიდისა“ და ა. შ.

ყოველ გადაღებულ ფირს ა. დიდმელოვი მის მიერვე მოწყობილ პატარა ლაბორატორიაში ამუშავებდა. წარმატება, რომელიც წილად ზედად ამ ფილმებს თბილისში, სხვა ქალაქებშივე გრძელდებოდა. უფრო მეტიც, ეს ფილმები ფრანგებმა შეიძინეს ცნობილი ქრისტიანული „პატე-ურნალისთვის“. ამგვარად ისინი მსოფლიო ცვრანებზეც გაივინდნენ.

სწორედ ამ პერიოდში მოღვაწეობას იწყებს ქუთაისელი კინომექანიკოსი ვასილ ამაშუკელი. იგი ქუთაისის სამხატვრო სკოლაში სწავლობდა — ვ. ბალანიშვილის მოწაფე იყო. მოსკოვში სწავლის გასაგრძელებლად გამგზავრების შემდეგ, იგი იმდენად გაიტაცა ელექტროტექნიკამ, რომ გადაწყვიტა, მთელი გულსყურით შესდგომოდა ამ საქმეს. 1907 წელს იგი მუშაობას იწყებს ბაქოში — კინომექანიკოსად.

1908 წელს ვ. ამაშუკელი მიემგზავრება მოსკოვში, სადაც იქნეს და სწავლობს გადაღებულ აპარატურას. ბაქოში დაბრუნებისას იგი იღებს თავის პირველ მცირე მოცულობის ფილმებს.

1911 წელს ვ. ამაშუკელი უკვე ქუთაისშია, სადაც ქმნის პირველ ქართულ ფილმებს: „ქუთაისის პეიზაჟი“, „პარკის პანორამა“, „სეირნობა“, „ექსკურსია ბაგრატიის ტაძრის ნანგრევებზე“, „ზინელ მებაგრეშვიტა მუშაობა“ და სხვ. ეს ფილმები პირველად ნაჩვენები იყო ქუთაისის კინოთეატრ „რადიოში“⁶.

1912 წლის ივლისში ამაშუკელმა გადაიღო თავისი პირველი დოკუმენტური ფილმი — ნარკვევი „აკაკის მოგზაურობა რაკა-ლენჩხუმში“.

ამ ფილმის შემდეგ მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო ქართულ კინემატოგრაფიაში, რადგან იგი დიდად განსხვავდებოდა ამავე პერიოდში ა. დიდმელოვისა და თვით ვ. ამაშუკელის მიერ შექმნილ პატარა ქრინიალური სიუჟეტებისაგან, როგორც მოცულობითა და მხატვრული ღირებულებით, ასევე ისტორიული მნიშვნელობითაც.

ცნობილი ჟურნალისტი ლადო ბზუგანელი, რომელიც თან ახლდა აკაკის მოგზაურობისას, როგორც გახვით „თემის“ სპეციალური კორესპონდენტი ნარკვევში „აკაკის მოგზაურობა“, სხვა საინტერესო მასალასთან ერთად მოგვითხრობს იმ დიდად და რთულ საქმიანობაზე, რომელსაც კინოოპერატორი ვ. ამაშუკელი ეწეოდა.

ვ. ამაშუკელის მიერ გადაღებული კინოფირი გაამყვადნა და ფილმის პოზიტივი დამაშადა დიდმელოვმა. ცალკეული კადრის ამხსნელი ქართული წარწერები გაკეთდა ცნობილ ქუთაისელ ფოტოგრაფ გემეჭკორიანს.

ჯერ კიდევ ფილმის გამოსვლამდე გავრცელდა ხმები მის შესახებ. დიდი თუ პატარა მოუთმენლად ელოდა მის გამოჩენას, ყველას აინტერესებდა ცვრანზე ეხილა სასიქაულო ქართული პოეტი.

ფილმი, რომელმაც მაცურებელთა აღტაცება გამოიწვია და არანაღლი ფინანსური წარმატება მოიპოვა, ნაჩვენები იქნა

თითქმის ყველა ქალაქში. ეს იყო პირველი სრულმეტრაჟული დოკუმენტური ფილმი ქართველი ხალხის უსაყვარლეს პოეტზე.

ფილმი „აკაკის მოგზაურობა რაკა-ლენჩხუმში“ მოფიქრებული და გადაღებული იყო წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით. მასში ცენტრალურ ფიგურად გვევლინება დიდი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე — აკაკი წერეთელი, დანარჩენი ეპიზოდები კი შერჩეულია ისე, რომ საყ შეიძლება მკვეთრად იგრწნობოდას პოეტის დიდება და მის მიმართ ხალხის საყოველთაო სიყვარული. ოპერატორის სამხატვრო მიგნება იყო მოგზაურობის სხვადასხვა ეტაპებიდან გადასასვლელი — ერთგვარი „ხილები“, რომლებიც ერთმანეთთან დააკავშირებულნი იყვნენ მგაფით, ლაკონური წარწერებით.

როგორც ვასილ ამაშუკელი იგონებს, ა. წერეთელი, რომელსაც შესანიშნავად ესმოდა კინოს შემეცნებითი მნიშვნელობა, კერძოდ კი აღნიშნული ფილმისა, გადაღების დროს ხშირად მიუთითებდა ხოლმე ოპერატორს ქართველი ხალხის ყოფის დამახასიათებელ ნიშნებზე, ქვეყნებსა თუ ჩაცმულობაზე.

ვ. ამაშუკელმა დაახლოებით 1500 მეტრი ფირი გადაიღო. ფილმი პირველად უჩვენეს ქუთაისში. გასიჩვას ესწრებოდა თვით პოეტიც, რომელიც ძლიერ ემყოფებოდა დარჩა.

1913 წელს მოსკოვის კინემატოგრაფიული ფაბრიკის „Талышкин и Дранков“-ის მფლობელი, რუსეთის სამეფო გავრცელების პრესტიჟის საბოლოოდ აღდგენისათვის შეუდგნენ ფსევდონისტორიული ფილმის „აკაკასიის დაპყრობის“ გადაღებას. ამ „ისტორიის ერთგული“ ფილმის შესაქმნელად კონსულტანტად მიიწვიეს ცნობილი სამხედრო ისტორიკოსი, სამხედრო-ისტორიული მუშეუმის („УРАМ ЧЛАН“) სამხედრო-ისტორიული განყოფილების რედაქტორი — სიმონ სპირიდონის ძე ესაქე.

კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის გენერლის მიერ 1913 წლის 8 ივლისს გაცემულ სპეციალურ დოკუმენტში ნათქვამი იყო: „ნება დაერთოს გადაიღონ და ჩაიხატონ კავკასიის სამხედრო-ისტორიული მუშეუმში დაცული სურათები, პორტრეტები და საგნები, ნება დაერთოს სამხედრო — ისტორიული განყოფილების რედაქტორს, პოდპოლკოვნიკ ესაქეს უხედოდ მძღვანელის ფილმის ისტორიული სიუჟეტს, როგორც ისტორიული ქრონიკის ტექსტის შედგენის დროს, ასევე კავკასიის ფარგლებში იმ ადგილთა გარემოვლისას, რომლებიც ცნობილი არიან კავკასიის სახელოვანი ჯარების საგმრო საქმეებით“.

ფილმი ესაძის მიერ მოფიქრებულ და განხორციელებულ იყო, როგორც 7 ნაწილიანი ისტორიული ქრონიკა. იგი 1913 წელსვე გამოვიდა ცვრანებზე. სენარაი შედგენილი იყო კავკასიის სამხედრო-ისტორიულ მუშეუმში არსებული დოკუმენტების საფუძველზე.

ფილმში ადვილი ქონდა იდოლოგიური ხასიათის სერიოზულ შეცდომებს, მასში იგრწნობოდა „ერთგულ-ქვეშევრდომული“ სული, ბურჟუაზიული ობიექტივიზმის მოძალება,

⁶ ვ. გოგოძე, აპირებული ქართული კინოოპერატორი. «Из КТД», материалы и документы вып. IV, 1964 გ.

⁷ ლ. ბზუგანელი, „აკაკის მოგზაურობა რაკა-ლენჩხუმში“. თბ. 1912 წ.

მაგრამ სურათში იყო არმიის ყოფისა და მეომართა გმირობის ამსახველი ბრწყინვალე კადრებიც.

ამ მხრივ გასაცარი იყო კადრები, რომლებიც გვიჩვენებდნენ მე-17 ვერტა პოლკის რიგითი ჯარისკაცის გავრილ სილონოვის გმირობას, ასახავდა არხიბ სიასიოვის სიმახველს, რომელმაც მტრის თოფისწამლის სარდაფს ცეცხლი წაუკიდა და თვითონაც დაიღუპა, ნიგეროდელ დრაგუნს ზაქარია ჭავჭავაძეს, რომელმაც ბრძოლაში სასწაულებრივი გმირობა და სიმახველე გვიჩვენა და სხვ.

ფილმში საინტერესოდ იყო ნაჩვენები მთიელთა „წმინდა ბროლი“.

ფილმში განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა დათმობილი ნიგეროდელს დრაგუნთა პოლკის საომარ მოქმედებას. ამ პოლკში მრავალი ქართველი მეომარი იყო, რომლებიც ბრძოლის ველზე განსაკუთრებით გამოიჩინოდნენ... სურათში აღმუდელი იყო აგრეთვე ბრძოლა მდ. ვალერკოზე, რომელშიაც მ. ო. ლერმონტოვი მონაწილეობდა. შესანიშნავად გადაღებულ ბატალურ სცენებში გამოყენებულ იყო კავკასიის სამხედრო ოლქის კარები⁸.

ს. ესაძის მოღვაწეობა კინოში მნიშვნელოვანი მოვლენა რევოლუციამდელი საქართველოს კინემატოგრაფიისათვის. ეს იყო ინტელექტუერი, კავკასიის ისტორიის შესანიშნავად მცოდნე ადამიანი, რომელიც, მართალია, ოფიციალურად სამხედრო ისტორიკოსად თითქმის, მაგრამ იყო ნამდვილი ისტორიკოსი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, — ამის დასტურია სიმონ ესაძის შრომები. ვარდა სამხედრო ისტორიის ცალკეული საკითხების საინტერესო და ყოვლისმომხვევი ტრაქტატებისა, მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ფრიად მნიშვნელოვანი გამოკვლევები კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ქართული ლიტერატურის ისტორიის, რელიგიისა და სექტანტობის, საქართველოს მოწინავე საზოგადოების დეკაბრისტებთან კავშირის შესახებ და ა. შ.

სიმონ ესაძის კინოთი გატაცება ისევე, როგორც მთელი მისი მოღვაწეობა, ემყარებოდა ჭეშმარიტად მეცნიერულ, დოკუმენტურ საფუძველს.

„კავკასიის დაპყრობაში“ სცენარისტისა და კონსულტანტის მოვალეობის შესრულების შემდეგ ს. ესაძემ თავის შემდგომ მოღვაწეობას მჭიდროდ უკავშირებს დოკუმენტურ კინოს. შეაძლოა, სწორედ აქ გამოვიწინად ძველი გატაცებანი. ჯერ კიდევ 1908-1910 წლებში ს. ესაძემ შექმნა ფოტოქრონიკა კავკასიის არმიის ცხოვრებიდან. ეს იყო მისთვის მასობრივი და საყვარელი საქმე. სამწუხაროდ, არც ქართულ და არც საერთოდ საბჭოთა კინოს ისტორიის არსებულ ლიტერატურაში სურლიად არ არის ასახული ქართული სამხედრო კინოქრონიკის ისტორია და არც მისი ჩამომყალიბებლის სახელია ცნობილი ფართო საზოგადოებრიობისათვის.

ერუდიტმა სამხედრო ისტორიკოსმა, კინოსაქმის კარგმა მცოდნემ ს. ესაძემ მალე მიიქცია კინემატოგრაფიულ საზოგადოებათა ყურადღება.

1914 წლის ავგოსტოში ს. ესაძეს კინემატოგრაფიულმა საზოგადოებამ „მინერვამ“ შესთავაზა კინოფირზე გადაღო

სამხედრო მოქმედების მოვლენები⁹. საზოგადოებამ „მინერვას“¹⁰ ხელმძღვანელობა იტყობინებდა, რომ ისინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ გერმანიისა და ავსტრიის ტერიტორიის გადაღებას და მათთან დაკავშირებული მოვლენების ასახვის¹¹. ეს წინადადება ძლიერ მიმზიდველად ეჩვენა ს. ესაძესაც.

1915 წლის დამდეგს იგი ეზადაფა ფონტოვ გვასამგზავრებლად არა როგორც მხოლოდ სამხედრო-ისტორიკოსი, არამედ როგორც კინოქრონიკიორი. 1915 წლის 3 თებერვალს კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის სამხედრო ისტორიულ განყოფილების პოლკოვნიკ ესაძესა და განყოფილების რედაქტორ კაპიტან სმირნოვიცს გაეცემულ იქნა მოწოდება, რომლის თანახმადაც მათ ნება ეძლეოდათ ეწარმოებინათ კინემატოგრაფიული გადაღებები კავკასიის სამხედრო მოქმედებათა და სხვა ადგილებში¹¹ (ამ ნებათათვის ესაძე ფართოდ სარგებლობდა). კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის სამხედრო ისტორიული განყოფილების კინემატოგრაფისტთა ჯგუფში დაყვებოდა არმიას და ფირზე აღებუდა ომის ყველა მნიშვნელოვანი მომენტი. აი, რას სწერდა ამის შესახებ ყარსიდან 1915 წ. 18 დეკემბერს ს. ესაძე კავკასიის არმიის სარდალს.

„თითქმის ერთი წლის განმავლობაში გადავიღე მოწინავე პოზიციებზე ჯარის მოქმედების მრავალი საინტერესო მომენტი, აგრეთვე დაწესებულებანი, რომლებიც არმიას ემსახურებოდნენ. ამჟამად შეგროვილი მაქვს მრავალფეროვანი და მეტად საინტერესო მასალა, ხოლო აღდგენილი (რეპარირებული) სურათები შესძლებენ სწორი წარმოდგენა შექმნას ერთ კავკასიის, თურქესტანისა და ემიბერიის ჯარების სამაჩრად და საღამოქრო ვითარებაზე. ამ სურათების ვკრანზე ჩვენებას როგორც ჯარების, ისე ხალხის აღზრდისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება¹².

1916 წ. სამხედრო-ისტორიული მუზეუმის კინემატოგრაფიულმა ჯგუფმა შექმნა რიგი სამხედრო ქრონიკებისა: „ერზურუმის დაცემა“, „ტრაპეზუნდის აღება“, „თურქეთის დაპყრობითი ქაღატები — ბაიბურტი, ტრაპეზუნდი, ერზინგანი და მამასათუნი“¹³. დახელოვნებული ოპერატორების მიერ გადაღებული ეს ფილმები ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენენ. სამწუხაროდ, ჩვენთვის დღემდე უცნობია ამ ქრონიკათა გადაღების, თავისი საქმის შესანიშნავი ოსტატისა და გაბედული დადამის სახელი. უნდა ვივარაუდოთ, რომ გადაღებას უშუალოდ აწარმოებდა პოლკოვნიკ ესაძის ჯგუფის რომელიმე წარმომადგენელი, ამ თვითონ ს. ესაძე. ყოველ შემთხვევაში, ასეთი დასკვნის გაბოტანა შეიძლება ფილმ „ერზურუმის დაცემაში“ გამო ესაძის ერთ წერილზე დაყრდნობით, რომელიც მას მიუწერია კავკასიის მეფისნაცვლის დიპლომატიური ჩინონიკისათვის 1916 წლის 21 თებერვალს. იგი აღნიშნავს: ჩვენი ჯარების მიერ ერზურუმის დაკავების პირველი დღეებიდანვე მე ვ გადავიღე (საზგასმა ჩემი — ბ. ც.) ციხესიმაგრე, ფორტები და თურქთა უკუქცევის გზები¹⁴.

⁸ ЦГА ГССР, ф. 1087, Д. 1127, л. 1.

⁹ იქვე.


¹¹ ЦГА ГССР, ф. 1087, Д. 1127, л. 2.

¹² იქვე Д. 1127, л. 8.

¹³ იქვე Д. 230, л. 1.

¹⁴ იქვე Д. 1127, л. II.

⁸ ЦГА ГССР, ф. 1087, Д. 209 14 გვ. (11) რუს.



კადრი ფილმიდან „ერზერუმის დაცემა“

1916 წ. 28 თებერვალს ამ ფილმს უჩვენებდნენ თბილისის სახაზინო თეატრში. ფილმმა კოლოსალური შთაბეჭდილება მოახდინა. გამოითქვა აზრი მისი არა მარტო თბილისში, არამედ რუსეთსა და საზღვარგარეთ დემონსტრირების შესახებ. მაგრამ კინემატოგრაფიული კონკურენტის წესებმა მაინც თავიმი გაიტანეს — გადაწყვეტილი იქნა ფართო ცენტრზე გამოშვებით ანალოგიური შინაარსის ფილმები, რომლებიც შექმნა სკოლოვეცკის სამხედრო კინემატოგრაფიულმა კომიტეტმა ესპანისული კინოქრონიკების გამოშვების შემდეგ ორი კვირით გვიან. ს. ესპანის ფილმები კი ყველა აღიარებდა, როგორც საუკეთესოსა და უფრო სრულყოფილს. გაზეთები ძუნწად აღნიშნავდნენ: „ინგალითა მორიგ საღამოზე თბილისში ს. ესპანე უჩვენებდა „ერზერუმის დაცემას“, რომელიც მკურნებელმა მქუსარე ტამით დააჯილდოვა“. ფილმ „ერზერუმის დაცემის“ თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ პოლიკონიკი ესპანე კვალდაკვალ მიჰყვებოდა მიფერინზე ჯარებს და ერზერუმის ალების დღეს იგი უკვე თვით ქალაქში იმყოფებოდა და გადაღებას აწარმოებდა¹⁶.

ინტერესი ა. ესპანის ფილმების მიმართ იმდენად დიდი იყო, რომ 1916 წლის აპრილში იგი მიწვეული იქნა შტაბში თავისი ქრონიკების საჩვენებლად, ხოლო 1916 წლის მაისში

¹⁶ იჭვე II. 1127, ა. 20

კადრი ფილმიდან „ერზერუმის დაცემა“



კინემატოგრაფიული საზოგადოება „ა. ხანკონკორნი“ დასცადებდა ფილმების — „ერზერუმის დაცემის“ და „ტრაპეზუნდის ალების“ ყველაზე ჩვენიებას¹⁶.

ს. ესპანის კინემატოგრაფიული ჯგუფის მიერ შექმნილმა ფილმებმა ძლიერი და ნათელი ფურცელი ჩაურეს პირველი მსოფლიო ომის მატანეში. დიდი და სანტიმენტოზი მუშაობა გასწავს ესპანე ფილმ „ჰაია მურატის“ სცენარზე. ჰაზვათმა, ამ ევრეთიწოდებული „წმიდა ომის“ საფუძვლებმა, შამილის პირიგებამ და მისმა მიერიდნა ჰაია მურატმა სულ უფრო და უფრო გაიტყვა ს. ესპანე. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფილმის სცენარულ საფუძვლს, ცდილობდა შეექმნა დიდი ეპიკური ტილო ჰაია მურატზე და მრავალი წლის განმავლობაში გულმოდინედ აგროვებდა დოკუმენტებს, ფოტოგრაფიებსა და მემუარებს ცნობილ მიუზიანზე, ეცნობოდა მთელითა ყოფასა და ცხოვრებას, ჰაია მურატის გარეშო პირობებს. სცენარისათვის შემოსახული მრავალრიცხოვანი დოკუმენტი ცხადყოფენ, თუ როგორი გულმოდინებით ემსახებოდა ამ ფილმისათვის. სამწუხაროდ, სცენარი არ დასრულებულა¹⁷.

1910-13 წლებში ქართული კულტურის მრავალი მოღვაწე თავის ყურადღებას კინოსაკენ მიმართავს. კინემატოგრაფისტთა საუკეთესო ნაწილთან ერთად, რომელიც სერიოზულად ცდილობდა ხელოვნების ახალ დარგს, ოსმელიც სერიოზულად იღებენ მის შესაძლებლობათა გამაღში. ესენი იყვნენ: ვ. გუნია, ვ. ალექსი-მესხიშვილი, ა. წუნჯაია და სხვ.

კინოპლექტკია წინააღმდეგად ვითომდა ფორმით ხალხური, მაგრამ შინაარსით პრიმიტიული იყო. როგორცდამოკიდებულა კინოსაკმისნებას და შემოქმედებით მუშაგებს შორის ნათელი იყო: არავითარი შემოქმედებითი თავისუფლება. კინო საკონტრაქტისა და მოგება უნდა მოქონდეს და რაც უფრო მეტ ფულს მოიტანს — მით უკეთესი. ამის მკაფიო ილუსტრირებას წარმოადგენდა კინოფირმა „ფილმი“, რომლის განყოფილება თბილისში იყო. ამ კაპიტალისტურმა საწარმომ მოღვაწეობა 1908 წლიდან დაიწყო. ფირმის პატრონი, ბელგიელი პირონი, ძირითადად საზღვარგარეთული და რუსული წარმოშობის ფილმების გაქირავებას ეწეოდა. ეს ფირმა მუშაობდა მთელს ამიერკავკასიასა და თურქესტანში და თავის განკარგულებაში ჰქონდა 30-მდე საკუთარი კინოთეატრი, ამათთან — 4 თბილისში¹⁸. ამის გარდა, პირონი, 1914 წ. კიდევ ერთ „საქმეში“ — თეატრ „კინემა პალოსის“ ამხანაგობაში შედის მონაწილის უფლებით. იგი მარტო ფილმების გაქირავების შემოსავლით უკმაყოფილო იყო და 1918 წელს გადაწყვიტა გათამაგებული ფილმების გადაღება. ამ მიზნით მან კონტრაქტი დაამყარა კინოთეატრ „აპოლოს“ მფლობელთან, ხელთ იგდო „აპოლოსთან“ არსებული, საქართველოში პირველი კინოლაბორატორია და მისი ორგანიზატორი ა. დ. დიდიმლოვი ოპერატორად თავის სამუშაო ჯგუფთან მიიწვია. ფილმების გადაღება მთლიანად „აპოლონის“ პირობებში მიმდინარეობდა — კინოთეატრ „აპოლოს“ ფოიეში, მაკურნებელთა დარბაზისაკენ მიმავალ კიბებზე და თვით მაკურნებელთა დარბაზშიც, როცა იგი თავისუფალი იყო.

¹⁶ იჭვე ა. 29 II. 224, მ. 51 და 70.

¹⁷ იჭვე II. 137.

¹⁸ ЦГАОР ГССР ф. 631. Оп. I. Д. 879, 1221.

პირონეს შემოქმედებითი კოლექტივი ათი კაცისაგან შენდებოდა: რეჟისორ-ბარსკის, ოპერატორ-დიდმოლოვის, მხატვარ-სიმონის, ტექნიკოს-მშენებლის, მებრუტაფორის, რეკვიზიტორისა და ოთხი მუშისაგან.

ასეთი შტატით შეუდგა პირონე „სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების გადაღებას“. ნატურაზე გადაღება თითქმის გამორიცხული იყო. პირონეს დასმა 1919-1920 წლებში მაინც გადაიღო მხატვრული ფილმები: „უხელმძღვანელო დარჩენილი დასი“, „მითხარ, რატომ“, კომედია „ღუ გინახავს“ და სხვ. მიუხედავად პრიმიტიული სიუჟეტებისა და მსახიობთა არაბუნებრივი თამაშისა, ფილმებს კომერციული თვალსაზრისით წარმატება ხვდათ.

პირველი ფილმების წარმატებით ფრთაშესხმულმა პირონემ, საწარმოს გაფართოების მიზნით, ნაწილობრივ შეისყიდა, ხოლო ნაწილობრივ იჯარით აიღო მიწის ნაკვეთი მიხეილის გამზირზე. იმ ადგილას, სადაც ამჟამად კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კორპუსებია განლაგებული, აშენდა პატარა კინოატელიე და კინოფაბრიკა. ამ ახალ ატელიეში დაიდგა ფილმი „ცეცხლთყვანისმცემლები“, რომელშიც მოთხრობილი იყო ირანელი პოეტისა და მომღერლის ხაფიზისა და ქარამხანის მშვენიერი მხევალი ქალის გულნარის სიყვარული.

აფიშები იტყობინებოდნენ, რომ მაყურებელი ნახავდა ძველებურ ირანულ სასახლეებს, შესანიშნავ მოცეკვავე ქალებს და ა. შ. სინამდვილეში კი ეს ფილმი, როგორც ხარისხითა და მხატვრული გაფორმებით, ისე მსახიობთა შესრულების მხრივაც, ისეთივე დონეზე იდგა, როგორცდეს მის წინ გამოსული ფილმები. მიუხედავად ყველაფრისა, ასეთ ფილმებზე მუშაობისას დამწებმა კინორეჟისორმა ვ. ბარსკიმ და ახალგაზრდა კინოოპერატორ — ქორნიკორმა ა. დიდმოლოვმა ერთგვარი საწარმოო ჩვევები შეიძინეს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ პირონემ გადაწყვიტა მიეტოვებინა თავისი „კინემატოგრაფიული საზოგადოება“. იგი მოელაპარაკა მენშევიურ ხელი-სუფლებას, მიჰყიდა მას თავისი ატელიე, კინოაპარატურა და სასწავლარეთი გაემგზავრა.

ეროვნული კინოინჟინერების ხელმძღვანელობა ცენტრალურ კოოპერაციულ საბჭოს მიენდო. მან სტუდიის ისედაც მიერ შტატი 5 კაცამდე შეამცირა. კინოსაქმე თვითდინებას მიჰყვა. მენშევიკთა ბატონობის განმავლობაში, მხოლოდ ერთი ფილმი იქნა გადაღებული, რომელიც, ასე თუ ისე, ამაყოფიებდა მოთხოვნილებებს. ეს იყო „ქრისტიანე“ ე. ნინოშვილის ნაწარმოების მიხედვით.

ამ პირველი ქართული მხატვრული ფილმის რეჟისორი იყო ა. წუწუნავა. როლებს ასრულებდნენ: აბელაშვილი, არაბიძე, ფორმისპირელი და სხვანი.

დიდი მუშაობა გასწავი ფილმზე გ. ი. გოცირიძემ. მას დიდი დამსახურება მიუძღვის იმ დაბრუნებათა გადაღებაში, რომელიც შემოქმედებითი კოლექტის თითქმის ყოველ ნაბიჯზე ხედებოდა.

1917 წლის 8 ივლისს იგი წერდა: „ქართული თეატრის რეჟისორ წუწუნავას მიერ სინემატოგრაფისათვის ინსცენირებულია ცნობილი ქართველი ბელეტრისტიკის ნინოშვილის „ქრისტიანე“, რომლის გამოჩენაც დიდ სარგებლობას მოიტან-

სიმონ
სპარილონის ქე
ესაძე



და“. იგი ხაზს უსვამდა მთელი კოლექტივის დიდ შემოქმედებითს აქტიურობას, რომელიც ფაქტიურად წყალში იყრებოდა და მოითხოვდა გადაღებაში მონაწილეობა მიუღო კავკასიის სამხედრო-ისტორიულ კოლექტივს პოლოვნიც ს. ესაძის ხელმძღვანელობით. ეს უკანასკნელი სიამოვნებით დათანხმდა და საქმე მოგვარდა.


1919 წელს ფილმი ეკრანზე გამოვიდა. მოგვიანებით სცენარის ავტორი და ფილმის დამამგმელი რეჟისორი ალ. წუწუნავა წერდა: ფილმი „ქრისტიანე“ ღვლარჩილი და სუსტა გამოდგა, თუმცა ხარჯები მან მაინც აანახალაურო. აქედან ჩანს თუ რა დიდი იყო სურვილი ქართული საზოგადოებრიობისა, ეკრანზე ეჩილა თავისი ქვეყნის ეტორება¹⁸.

1920-1921 წლებში თბილისში მუშაობა დაიწყო „ხოლოროვას“ და ლენინტეივის დრამატულმა სტუდიამ, რომლის კინოხელოვნების კლასი რეჟისორ ვ. ბარსკისა და მ. მიჩურაინის ხელმძღვანელობით კინოკადრებს ამზადებდა.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ფილმებისა, მენშევიკების დროს დაიდგა ორი-სამი სალონურ-აგანტურისტული, სათავგადასავლო დრამა, აგრეთვე, დოკუმენტური ქრონიკები, რომელნიც მიედგნა საქართველოში II ინტერნაციონალის ლიდერების — მაქონალდის, ტომპასისა და საცნაორორის ოპორტუნისშის სხვა წარმომადგენელთა ჩამოსვლას.

ქართული საზოგადოებრიობის მოთხოვნას — მხარი დაეჭირათ ეროვნული კინოხელოვნებისათვის, მენშევიკთა ხელი-სუფლების თანაგრობის არ გამოუწვევია. ისინი სრული კრახის წინაშე იდგნენ და კინოხელოვნებისათვის არ ეყალათ.

¹⁸ იხ. ვახ. „კომუნისტა“ 1940 წ. 5 თებერვალი



სურ. 1.

ზოოქორული

სამაჯურები

ქვემო

ქართლიდან

გია ავალიშვილი



მანისის რაიონში სოფ. განთიადის ტერიტორიაზე (ქვემო ქართლი) 1964 წელს გათხრები ჩაატარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ხელოვნების მუზეუმის გაერთიანებულმა ექსპედიციამ პროფ. ო. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით.

გათხარა ექვსი ქვისსამარხი და ერთი ორმოსამარხი. იარაღი ამ სამარხებში ძირითადად რკინისაა, ხოლო სამკაული (სამაჯურები, ხატისფელი, ქინძისთავი და სხვა) ბრინჯაოსაგან არის ნაკეთები.

საყურადღებოა სამარხებში აღმოჩენილი სამაჯურები.

სოფ. განთიადის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სამაჯურები ძირითადად ბრინჯაოსაგან არის დამზადებული. სამაჯურები

ორი ტიპისაა: თავებგასხნილი და თავებგადადებული (სურ. 34 ცალი. (სურ. 1). სამაჯურების დიამეტრები შეადგენს 7,4 სმ — 4,3 სმ. შორის. საინტერესოა ერთი გარემოება: სამაჯურები განივკვეთში ერთიანიგვით ზომას გააძლევს (0,4 სმ.) ეტყობა ამზადებდნენ ერთ მავთულს და მერე ჭრიდნენ საჭიროებისდამხვედვით. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ პერიოდში უკვე ცალკე გამოყოფა ხდებდა სამაჯურების მკეთებელ — „ხელოვნებისა“, რომელთაც ცალკე სახელმისო აქვთ და ემსახურებიან მოსახლეობის მოთხოვნებს. შეიძლება იმის ვარაუდიც კი, რომ ასეთ სახელისონომი შრომის დანაწილება უკვე „ხელოვნების“ მიხედვით ხდებდა. (ზოგი მავთულს ამზადებდნენ, ზოგი ჭრის, ზოგიც მხატვრულად ამუშავებს და სხვ.).

გარდა ბრინჯაოს სადა სამაჯურებისა, აღმოჩნდა სამაჯურები, რომელთა ბოლოები გველის თავის გამოსახულებას იძლევა. (სამაჯურების ბოლოებზე ზომიორფული გამოსახულებები ცნობილია ჯერ კიდევ ძვ. წ. II ათასწლეულიდან, ლურისტანდან). ასეთი სამაჯური ორია ჩვენს მასალაში (ქვისსამარხი № 1 და № 3). № 1 ქვისსამარხში აღმოჩენილი გველისთავებიანი სამაჯური ვერცხლისაა, ხოლო № 3 ქვისსამარხისა — ბრინჯაოსი. მეტად საყურადღებოა ერთი გარემოება, რომ № 1 ქვისსამარხში აღმოჩენილი ვერცხლის სამაჯურის ბოლოებზე გამოსახულ გველის თავებს ეკვავზე შეიძინა ზოლი აქვს (სურ. 2). გაეხსენით სოფ. თლიში აღმოჩენილი კოლხურ ცულზე შეიძინა გველის გამოსახულება, ხომ არ არის ეს ფაქტი დაკავშირებული ასტრალურ კულტთან (მზე, მთვარე, მარსი, მერკური, იუპიტერი, ვენერა და სატურნი) მითუმეტეს, რომ ძველ აღმოსავლეთში მაგური ნიშანი შეიძინა ცნობილია უკვე ძვ. წ. III ათასწლეულიდან.

განთიადის სამარხების № 1 ქვისსამარხის ვერცხლის სამაჯურის თავი მკვეთრად დიფერენცირებულია ვერცხლის რკოლისაგან მასიური თავებით, რომლებიც შესრულებულია თითქმის კუბისტურ ბრტყელ-კუთხოვან სტილში (სურ. 3). თითქმის ხდება ბერძნული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ორნამენტისა და სქემატიზაციის პროცესის ერთგვარი შერწყმა. (ორივე წრისათვის ცალ-ცალკე ეს პროცესები ცნობილია ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევარში).

გველის გამოსახულება (რაც, რასაკვირველია, მისი, როგორც კულტის როლი იახსენება) უძველესი დროიდან ფართოდ არის გავრცელებული ამიერკავკასიაში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში. გველის კულტი ერთ-ერთი ყველაზე ძველი წარმომობისა უნდა იყოს. ხალხთა უმეტესობაში გველი ისახება როგორც წყლის მფლობელ-დამცველი. ასევე ცის წყლებისაც — აქედან არის გველისათვის ფრთების აუცილებლობა და მისი გველუშპაის სახეში გადაზრდა¹. გველს დიდი როლი ენიჭება განაყოფიერებაში. ამას განაპირობებს გველის მსგავსება ფელოსთან. ზოგ ქვეყანაში (ახალი გინეა, ავსტრალია, აზიისიზა, პორტუგალია და სხვა²) ქალები გველი სახლში ყავთ ხოლმე თავის ნაყოფიერების გასაზრდელად. ურში, ელ-ობეების პერიოდის ფენაში აღმოჩნდა თიხის ქალის ქანდაკებები თმებზე გველის თავით (ნაყოფიერების ღვთაება?) როგორც ცნობილია, ალექსანდრე მაკედონელის

ღედა სახლში გველს ინახავდა და ალექსანდრეს მისგან შეძენილად თვლიდა.

ზოგიერთ ქვეყანაში გველი საკულტო სიმდიდრის მცველ-შენახველად მიიჩნიათ (ინდოეთი). ცნობილ ტუტანხამონის სამარხში საგანძურს „იცავდა“ დიდი ოქროს გველი. ელფენსა და ათენის ტაძარში ინახავდნენ დიდ გველს და ყოველთვიურად სწორავდნენ თაფლიან ნამცხვრებს³.

გველი გველინება აცტეკების ერთ-ერთი ღმერთის კეტცაკოატლის სახით. ფინიკიაში გველი არის ცის ღმერთი ტაპალტის სიმბოლო, ხოლო სკანდინავიაში მარადისობის გამომხატველი. ასევე გველის სახით იხატება ძველ ეგვიპტურ ღმერთი უტო. შუმერში გველი დაკავშირებულია ქალღმერთ იშტართან. აშურის გათხრისას აღმოჩნდა სამსხვერპლოები და საკულტო დანიშნულების თიხის ჭურჭელი, რომლებზეც რელიეფურად გამოსახულია გველები. გველის გამოსახულება ცნობილია ძველი ელამის და პალესტინის ეგვიპტურულ კერამიკაზე. ძველ ელამში გველის გამოსახულებამ გაბატონებული მფეომარობა დაიკავა ჯერ კიდევ III ათასწლეულში ძვ. წ. (გველი — როგორც ჭეჭა-ქუხილი, როგორც კეთილი სული, ოჯახისა და წმინდა ხის დამცველი). ძველ ელამში გველი გამოსახულია მარდუკის შუბის ბოლოზე და ადადის ისარზე⁴. (პარალელურად ამისა, შეიძლება გაიხსენოთ ბრილის სამაროვანზე აღმოჩენილი, მშვენიერად შენახული სატეფარი, რომლის ქედზე გამოსახულია გველი). საქართველოში გველის მოტივი გვხვდება თრიალეთში შუა ბრინჯაოს ხანის, XVII ყორღანზე აღმოჩენილ წიფილ თიხის მოხატულ ჭურჭელზე. ამავე პერიოდის დიდ შავ მიხატულ ჭურჭელზე კიროფოკანიდან. გველის რელიეფური გამოსახულება გვხვდება ბუმბაქმთან (გვირგვინის მარჯვენა მხარეს) № 11 სამარხში ნოზოენ თიხის დოქსა⁵ და ამავე სამაროვანზე № 25 სამარხში აღმოჩენილ თიხის ჭურჭელზე (II⁴ 541), გვიან ბრინჯაოს ხანის კოლხურ ცულებზე, ბალთებზე.

გველის გამოსახულება გვხვდება სამთავროს № 2370 სამარხში „ორსართულიან“ ჭურჭელზე, აგრეთვე თიხის ჭურჭელზე ქვესათალიდან, ბაკურციხიდან, არმაზის № 3 კრამიტსამარხიდან⁶, სტალინის „ნაცარგორიდან“, სამთავროს № 333 ჭეხისმარხიდან. გველის რელიეფური გამოსახულებები ჭურჭლებზე გვხვდება ჩრდილო კავკასიაშიც (ლუგოვო, ნესტროვის სამაროვანი), სომხეთის ედინისტური პერიოდის სამაჯურებზე, ჭურჭელზე ხანლარიდან და სხვ. საინტერესოა კახეთში, მელანთან („მეღის დღე“) აღმოჩენილი სალოცველო ძვ. წ. II-1 ათასწლეულთა მიჯნისა. მის ბრტყელ მწვერვალზე გამოსახულია უსარმზარი სტილიზებული ფიგურები, მათ შორის გველის რამდენიმე გამოსახულებაც⁷. ეშერში აღმოჩნდა საკულტო დანიშნულების გულსაკედი ორი გველის გამოსახულებები⁸. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ფშავ-ხევსურეთში შემორჩენილი თქმულება, რომ არსებობს „ოჯახის“ ორი გველი, დედალ-მამალი. ჩვენთვის საინტერესო ხანაში გველის თავების გამოსახვა სამაჯურებზე მეტად ხელსაყრელი იქნებოდა (თუ ასეთ სამაჯურს ჩავთვლით რაიმე ბოროტი ძალის წინააღმდეგ გაკეთებულ აშულებად), რადგან სამაჯურს ადამიანი ყოველთვის თან ატარებდა. (საერთოდ

სურ. 2.




მეტად საინტერესოა გველის გამოსახვა სამაჯურებზე, გველი როც ხალხებში სიცოცხლის მომნიჭებელია; „დაბადების“ მიხედვით გველმა ადამიანს აცნო „ხე ცხოვრებისა“ — სიცოცხლისა; გველის გამოსახვა სამაჯურებზე შეიძლება ვივარაუდოთ მაკისცმასთან — სიცოცხლესთან დაკავშირებით.)

გველის გამოსახულება იცვლება იმის მიხედვით, თუ რა დანიშნულების ნივთზე ის გამოსახული. ისარზე, შუბზე, ცულზე (ე. ი. სომარ იარაღზე) გველი გამოსახულია სამეფოთსა წაგრძელებული თავით (აღზნებულ მდგომარეობაში), ხოლო აშუღტ-სამაჯურებზე უფრო „დაშინებული“ სახით (როგორც დამცველ-კეთილი სული). საერთოდ ცნობილია, რომ საკულტო ცხოველთაგან ყველაზე დუალისტური როლი გველს ენიჭება. გველი ხან სიბრძნის, სიცოცხლის, ადამიანის კეთილი სულის, ხან კი სიბოროტის უნივერსალური გამოხატვაა.

საქართველოს მთიან ადგილებში დღემდე შემორჩა გველის კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი⁹. სანეთში, ფშავ-ხევსურეთში შემორჩა თქმულება, რომ ყველა ოჯახს ჰყავს თავისი „ოჯახის“, „სახლის“ გველი, რომელსაც დილასადამოს ფინჯანით რძეს უდგამენ ხოლმე. სენანის რწმენით „მეზირა“ შეიძლება გველის სახითაც იყოს წარმოდგენილი — ოჯახის მფარველი, სიმდიდრის და ჯანმრთელობის მომცემი¹⁰. ისევე, როგორც რიგ ხალხებში, საქართველოშიც გველი დაკავშირებულია განაყოფიერებასთან. იმ სახლს, რომელსაც „ფუძე“ გველი, „ოჯახის“ გველი არ გაჩანია, ის ოჯახი მალე განადგურდება, უშეოდ დარჩება და გადაშენდება ხოლმე. ვაგა-ფშაველს ცნობით, ფშავ-ხევსურთა რწმენით, გველის ჭამა იწვევს ადამიანის გაბრძნებას (პოემა „გველის მჭამელი“).

როგორც ცნობილია, ძველი ბერძნები გველს გამოსახავდნენ მკურნალობის ღვთაების ასკლეპიოსის გვერდით) მედიცინის სიმბოლო — გველი რძეს სვამს ჯამიდან¹¹. განათხარ კერამიკულ ჭურჭელზე გველის გამოსახვა პ. ფირცნაშვილს მიიჩნია ამ ჭურჭლის სამედიცინო ინვენტარის ხასიათად¹¹. მაგარმა, ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მთიულეთში შემორჩენილი წეს-ჩვეულება გველსათვის ჭურჭლით რძის მირთმევის შესახებ, სწორედ ამ შორეული წარსულიდან იღებდეს სათავეს და ჭურჭელზე გველის გამოსახვა ნიშნავდეს,



სურ. 3.

რომ ეს ჭურჭელი გველს ეკუთვნის, და ამ საგნით ხდებოდა რძის მირთმევა თუ სხვა მომსახურების შესრულება. (იერიქონის მასლობლად ტელ-ვილატ-კასულში ძვ. წ. IV ათასწლეულის ფენაში აღმოჩნდა თიხის ჭურჭლები გველის რელიეფური გამოსახულებით. გველი თითქოს სვამს ჭურჭლიდან).

იმ პერიოდისათვის, რომელსაც ეკუთვნის სოფ. განთიადში აღმოჩენილი, ბოლოებზე გველისთავეებიანი სამაჯურები, მეტად იშვიათია ვერცხლისაგან დამზადებული ეკუმბოლარები. ანალოგიური, ვერცხლისაგან გაკეთებული სამაჯურები ცნობილია თალიშიში¹², კარმირ-ბლურში და სხვაგან. ვერცხლის სამაჯურზე გველის თავები უფრო მონდომებით არის გაკეთებული და გამოსახულებაც უფრო ნატურალისტურია, ხოლო ბრინჯაოს სამაჯურებზე გამოსახული გველის თავები უფრო სტილიზებულია. ალბათ, ხელოსნის გულმოდგინება დამოკიდებული იყო მასლის ხასიათზე. ბოლოებზე გველისთავეებიანი ბრინჯაოს სამაჯურები დიდი რაოდენობით გვხვდება ქვემო ქართლსა და ჩრდილო სომხეთის ტერიტორიაზე. სოფ. გოლოფინოსთან № 1 და № 3 კრომლებში აღმოჩნდა თიხი ასეთი სამაჯური. მსგავსი სამაჯურები გვხვდება ანიკუმშაში, გიულაგრაკთან, სოფ. ბეინში და სხვ. ამგვარი სამაჯურების სამხრეთ — დასავლეთით გავრცელების ბოლო პუნქტი არის ყარსის ოლქში, სოფ. ზაკიში¹³. ბ. კუფტინის აზრით, ბოლოებზე გველისთავეებიანი სამაჯურები ურარტუდან უნდა მოდიოდეს¹⁴.

კარმირ-ბლურზე გათხრების დროს № 27 ოთახში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა სხვადასხვა მორთულობანი, მათ შორის ბოლოებზე გველისთავეებიანი სამაჯურები¹⁵. ქალაქი ტეიმუბაიში (კარმირ-ბლური) წარმოადგენდა ურარტუს ადმინისტრაციულ ცენტრს აბიერკავკასიაში ე. ი. მიილი აკრეფილი ხარკი თუ გაცვლა-გამოცვლის შედეგად შექმნილი ნადავლი ამიერკავკასიის სხვადასხვა რაიონებიდან გროვდებოდა კარმირ-ბლურის გათხრების შედეგად აღმოჩენილ დიდ საგანძურებში, შემდეგ მუშავდებოდა და იგზავნებოდა ვანის სამეფოს ცენტრში — ქალაქ ტუმშაში¹⁶. მაშასადამე, გველის თავებიანი სამაჯურების, ისევე როგორც სხვა ნივთების დიდი რაოდენობით აღმოჩენა კარმირ-ბლურზე არ ნიშნავს მის ადგილობრივ და მითუმეტეს ურარტულ წარმოშობას, რადგან ეს ნივთები შემოტანილი უნდა იყოს ხარკის სახით ამიერკავკასიის სხვადასხვა რაიონებიდან.

ურარტული ღმერთების პანთეონში (ჩამოთვლილია 19 დასახელება¹⁷), ღმერთების გრძელ სიაში არც ერთს არ აქვს გველის რაიმე ატრიბუტი, როცა სხვა ცხოველების გამოსახვა არც თუ იხე იშვიათია (ლომი, ხარი, ძაღლი, ფრინველები და სხვ.). ე. ი. გველის გამოსახვა სამაჯურებზე ურარტული წარმოშობისა არ უნდა იყოს. მისი გამოსახულება ურარტუს სახით ხელოვნებაში მეტად იშვიათია (მხედველობაში რომ არ მივიღოთ წმინდა ხესთან დაკავშირებული სცენები — ისიც შეთვისებული წინა აზრიდან).

გველისთავეებიანი სამაჯურების დიდი რაოდენობით აღმოჩენა ქვემო ქართლსა და ჩრდილო სომხეთში მათ ადგილობრივ წარმოშობაზე უნდა აღაპრაკობდეს. 1948 წელს კიკეიში ადრე — აქემენიდური ხანის სამარხში აღმოჩნდა ერთი ბრინჯაოს სამაჯური, ბოლოებზე გველის თავებით. მსგავსი სამაჯური აღმოჩნდა წყნეთში. სოფ. ნოსტეში ორი ასეთი სამაჯურია ნაპოვნი. 1923 წელს მანგლისში ლ. მელიქსეთ-ბეგმა აღმოაჩინა ამგვარი სამაჯურები, მეტ-ნაკლებად სქემატურად სამარხებში¹⁸. ბეშთაშენის ციხე-სიმაგრესთან მდ. გერაიკ-ჩაის მარცხენა მხარეს გათხრილ სამაროვანზე თერთმეტ სამარხში აღმოჩნდა მსგავსი სამაჯურები, მეტ-ნაკლებად სქემატურად შესრულებული (სამარხები №№ 17, 18, 24, 25, 26, 27, 28, 36, 53, 58, 64)¹⁹. ასეთვე სამაჯურები ცნობილია, აგრეთვე, სოფ. მხარტიანში²⁰. დიდი რაოდენობით გვხვდებით ბრინჯაოს ამგვარ სამაჯურებს შიდა ქართლში (სამთავრო), თბილისში (საბურთალო) და სხვაგან.

ბოლოებზე გველის თავებიანი სამაჯურები ძირითადად გვხვდება ისეთ კომპლექსებში, რომელშიც შედის სპირალურად დაღვეული ბრინჯაოს მავთულისაგან დამზადებული ხატისფორმის, ბრინჯაოს სადა სამაჯურები, ტანმოსხრილი რკინის დანები და სხვ. რაიც ანალოგიების მიხედვით ამიერკავკასიის სხვადასხვა ადგილებიდან (ბეშთაშენი, ლალვარი, შათანადლი, მუსი-ივრი, სამთავრო და სხვ.) ასეთი კომპლექსები თარიღდება ძვ. წ. VI-V საუკუნის პირველ ნახევარში. ამავე საუკუნეებში უნდა დათარიღდეს სოფ. განთიადის სამაროვანზე (ქვემო ქართლი) აღმოჩენილი სამაჯურები.

ყირაშში, აივანუსკის ნამოსახლარზე აღმოჩნდა ბრინჯაოს სამაჯური, ბოლოებზე გველის თავებით²¹. ფენა, რომელშიც სამაჯური იყო, მიეკუთვნება ტავრული კულტურის მეორე ეტაპს, რომელიც თარიღდება ძვ. წ. VI-V სს.²² ტავრული კულტურის ამ მეორე ეტაპზე, შედარებით წინამდებარე ეტაპთან, იცდება სამაჯურები და დასავლეთაგან ხდება უკვე მთლიანი ქვეისაგან შეკრული ყუთები. ჩნდება სპირალურად დაღვეული ბრინჯაოს ხატულეები, რომელთა ბოლოები გარბეტივებულია²³. ყირაშის ბრინჯაოს კულტურის შესწავლის საფუძველზე იჩვენება, რომ გენეტიკურად ტავრული კულტურა არ უკავშირდება წინამდებარე კულტურებს²⁴. ყველაზე ადრეული ტავრული ძეგლი თარიღდება ძვ. წ. IX საუკუნით და ეკრამიკულ ფორმებში საერთოს პოლიოს გვიან ძეგურ კულტურასთან (სეკიურთი მცენიერის აზრით — კიმერიული კულტურა), მაგრამ ტავრული კულტურის მთლიანი კომპლექსები ძალიან ემსგავსება ჩრდილო კავკასიის ყობანურ კულტურას²⁵. ა. იესენს მიიჩნია, რომ ტავრული და ცენტრალური ჩრდილო კავკასიის ბრინჯაოს სამაჯურების დიდი მსგავსება

ახსნება მათი ჩრდილოკავკასიიდან ყირიმში გადასვლით²⁶. ვ. კურბნოვიც აკავშირებს ტავრულ კულტურას ყობანურთან და ფიკროსს, რომ ძვ. წ. II-I ათასწლეულთა მიჯნაზე ხდება ჩრდილო კავკასიიდან ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილის ყირიმში გადასახლება²⁷. პ. შუელიც ტავრებს თვლის ადგილობრივი და მოსული ეთნიკური ჯგუფების შერევის ნაყოფად²⁸. ა. ლესკოვი ყირიმის ტავრების დაპირდაპირ უკუში ანალოგიებს ხედავს ბრილის სამაროვანთან. ყირიმში ურკუსტა — I და ურკუსტა II სამაროვნებზე (ძვ. წ. IV-III სს.) ქვის სამარებს შორის ნაშთიანა კვრამების ნამტკრეველი და ნინაური ცხოველების დამწვარი ძვლები²⁹. ანალოგიური სუ-

რათი გვაქვს დმანისსა³⁰ და განთიადის სამაროვნებზე. ეს ფაქტები (გველისთავებიანი სამაჯურების, სპირალური ხატის-ულლების აღმოჩენა კვემო ქართლსა და ყირიმში, აგრეთვე დასაფლავების წესები ზოგი რა საერთო) მიუთითებს რაღაც შორეულ კავშირზე სამხრეთ ამიერკავკასიასა და ყირიმს შორის ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე მეოთხედში.

ბ. კებუღელი, ვ. დიაკოვი, გ. ბუღოვი³¹ ტავრებს აიგივებდნენ კიმერიელების ერთ-ერთ ტომთან. შეიძლება მსგავსი ნიშნები ყირიმის ტავრებსა და სამხრეთ ამიერკავკასიის კულტურებს შორის კიმერიელთა იმ მოძრაობის შედეგი იყოს, რასაც ადგილი ჰქონდა ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში.

1 გ. შურც — История первобытной культуры. С. П. 1910 г. стр. 806.
 2 Л. Штернберг — Первобытная религия. Лен. 1936, стр. 411.
 3 Э. Тейлор — Первобытная культура. Москва 1939, стр. 407.
 4 И. И. Мещанинов — Змея и собака на вещевых памятниках архаического Кавказа. Зап. кол. востоковедов, т. I. Лен. 1925, стр. 242.
 5 Б. А. Куфтин — Археологические раскопки в Триалети. Тб. 1941, стр. 387, таб. XXXI.
 6 Г. Ломтадзе, А. Алакидзе, Г. Гобеджишвили, А. Каладзе — Микета. I Араμισ-Хеви, 1958, стр. 148.
 7 იხ. ვახუშტი — „მოძღვრება გუაში“ 24/XII-66 № 150 (6668) და აბოიძისა — 27/XII-66 № 302 (4147).
 8 Б. Куфтин — Материалы к археологии Колхиды, т. I, Тб. 1949, стр. 165.
 9 ნ. რევიზაშვილი — სალოცავი „შვიტი“ (გიგე) სსმ ტ. XXIV — В თბილისი, 1964, გვ. 208-220.
 10 ვ. ზარდაველიძე — სეანურ ხალხურ დღესობა კალენდარი თბილისი 1955 გვ. 161.
 11 პ. ფიციანელი — თრიალეთსა და სამთავროში არქეოლოგიური ძიების ამოჩენილი გველის დასახლებებთან ურკუსტების აღნიშვნების შესახებ, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოშაქ. XVIII, № 3. 19577.
 12 J. de Morgan — La préhistoire orientale. Lene III Paris. 1927. გვ. 276.
 13 А. Мартirosian — Раскопки в Головино. Результаты работ 1929 и 1950 гг. Ер. 1954, стр. 15, 36, 40, 55.
 14 Б. Куфтин — Урартский «колымбарий» у подножья Ара-рат и куроракский знеолит. Сსм, ტ. XIII-V გვ. 40-45.
 15 Б. Б. Пиотровский — Кармир-Блур. II. Ер. 1952, стр. 39.

16 В. С. Сорокин — Раскопки древнего поселения. Кармир-Блур. II. Ер. 1952, стр. 86.
 17 Б. Б. Пиотровский — Ванское царство. Москва 1959, стр. 220-231.
 18 ლ. მეღვიმე-ბეგი — მაგლისი ნეკროპოლი. „ტენი მეცნიერება“ № 1, (13) თბილისი 1924, გვ. 82.
 19 მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის წინა-ფეოდალური ხანის არქეოლოგიის განყოფილებაში.
 20 Б. А. Куфтин — Археологические раскопки в Триалети. Тб. 1941, стр. 64, рис. 61.
 21 И. Т. Кругликова — Разведки в Старо-Крымском районе 1956 г. КСИИМК, вып. 74. 1959, стр. 67... А. М. Лесков — Горный Крым в первом тысячелетии до н. э. Киев, 1965, стр. 106.
 22 А. М. Лесков — დასახლებული ნაშრომი გვ. 107.
 23 იქვე გვ. 96. ნახ. 34.
 24 იქვე გვ. 191.
 25 იქვე გვ. 192.
 26 А. А. Иессен — Прикубанский очаг металлургии и металлообработки в конце медно-бронзового века. МИА. № 23. 1951, стр. 123.
 27 Е. И. Крупнов — Древняя история и культура Кабарды. М. 1957, стр. 119, он же — Древняя история Северного Кавказа. М. 1960, стр. 347.
 28 А. Лесков — დასახლებული ნაშრომი. გვ. 135.
 29 А. Лесков — დასახლებული ნაშრომი გვ. 81.
 30 გ. ნიარაძე — დმანისის ნეკროპოლი და მისი ზოგიერთი თვისებებზე. სსმ, ტ. XIV — В. 1947, გვ. 27.
 31 В. И. Дьяков — Древняя Таврика до римской оккупации. ВДИ. 1939, № 3, стр. 77... Г. Д. Белов — Херсонес Таврический. Лен. 1948, стр. 27.

პიკნიკი ქართულ კინოოცუპარულს

ჩვენს ქვეყანაში დღით დღე იზრდება კინოოცუპარულთა რიცხვი. დღეისათვის საბჭოთა კავშირში კინოოცუპარულთა 2.850 სტუდია არსებობს, რომელიც მათ ათასზე მეტ ენოზუბასტს აერთიანებს. ახლახანს ჩატარდა მათი შემოქმედების საკავშირო დათვლიერება, რომლის დასწევით ტერში მონაწილეობდა 5000-მდე ფილმი.

ფესტივალის მთავარი პირობა „ოქროსი იაღანის“ მოიპოვა მოსკოველი კინო-ოცუპარულების თვედარი ეტიომონისა

და ლენინდ გელფერის ფილმა „გორაკი ლენინური“. სურათში გაღებულთა ლენინის მუხურში, მდინარე პაბის სახანაპრო, საერთოდ ყველაფერი, რაც კი დაკავშირებულია ვ. ი. ლენინის გორაკს უფენასთან. ამ კინოოცუპარულდება ვ. კოდევ ირი წლის წინ გაღაიდეს სურათი „ცხენოსნები“, რომელიც ასახავს საბჭოთა ცხენოსნების გმირულ ბრძოლას სამოქალაქო და სამამულეო იმის წლებში. ზარმან ამ ფილმმა მე-სამე პარისის დილოში მიიღო.

დათვლიერებაზე კარგად გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის კინოოცუპარულები. დათვლიერების პირველი მიიღო ენოზომისტ რეჟოზი ჭიბაძისა და ჰევაგოზი იოსებ შენგელაის ფილმა „აფრიკის გარშემო“, ავტორებმა ტრალეფერ „შოთა რუსთაველი“ ცხრა თვე იმეჯაურტის ინდოეთის და ატლანტიკის ოკეანებში და გაღაიდეს აფრიკელი ხალხების ყოფაცხოვრება. 1962 წელს კინოოცუპარულთა ფილმების დათვლიერებაზე ჭილდოთი აღინიშნა მათი სურათი „ოლილი“, შემდეგ გაღაიდეს აბლა და ცოცხლო. ახლა კი ქართველ კინოოცუპარულებს გაღაწვებული აქვთ გაღაიდონ სრულმეტრეაიანი მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი „აღმოსავლეთის კონტრასტები“. ეს იქნება სურათი შრომელ ადამიანებზე, სეკიარულზე, ზღვის არმანტიკაზე.



მხატვარი—

ჩვენს ხატვარებში

ლია მიქაძე

ს
ვლონების ქეშმარიტ ქმნილებას მტრებიც ჰყავს. მას იტაცებენ და „შემთხვევით“ ჰკარგავენ... ასე მოხდა 1938 წელსაც. ნიუ-იორკში საბჭოთა გრაფიკის გამოფენაზე ხუთი მინიატურა სადღაც უკვადლოდ გაუჩინარდა და მატილდა მღებრიშვილს აღარ დაუბრუნდა ოკეანის გაღმიდან თავისი ნახელები. მხატვარს ასლებიც კი არ შერჩენია მათი; თეირანში შექმნილი მინიატურების ციკლს ხუთი საუკეთესო ფურცელი გამოაკლდა... გული დაწყდა და დაენანა მატილდას დანაკარგი, მაგრამ თან დამაყებოდა მათი მოტაცება.



მატილდა მღებრიშვილი

სვანეთში

სპარსეთში გატარებულ წლებს ფუჭად არ ჩაუვლია, მხატვრის ალბომს კადეც ბევრი მშვენიერი მინიატურა ჰქონდა შემონახული. სახელოსნოში ინახებოდა აგრეთვე გუაშით, აკვარელითა და ტემპერით გადმოღებული XVI-XVII საუკუნეების სპარსეთის კარის მხატვართა ფრესკები: „მწერალი ქალი“; „არშიყი“, „დები“ და „დიდ ქურებზე დაყრდნობილი მთვრალი მამაკაცი“, რომლებსაც მხატვარი უფრთხილდებოდა და ელოლიავებოდა.

შალვა ამირანაშვილმა ნიჭიერ მხატვარს ფუნჯი დაულოცა ალი-კაპუს, შამ-აბაზ პირველის სასახლის კედლის მოხატულობის ნატურალური ზომის 30 ასლისათვის, რომელიც 1933 წელს საქართველოს სამხატვრო გალერეაში გამოიფინა.

შაქებისა და დვერიშების, გრძელი ჩაღრებისა და ლამაზი თვლების, შინარეთებისა და ნაირ-ნაირად მოჭარვული ხალიჩების სპარსეთი თავისი უცხო სიჭრელით თვალს ხიბლავდა, მხატვარს ფანქრისა და ფუნჯისაკენ ეწეოდა. მატილდა მღებრიშვილი დაუდღაგად შრომობდა, პოეტურ შთაგონებას ეძლეოდა და ნატურას პირდაპირ ქუჩაში პოულობდა. თევზების გამყიდველი პატარა ბიჭი, ბროწეულებით მოვაჭრეთა სახე ხონჩები და თეირანის ვიწრო ქუჩებში „ჩაჭედლილი“ გვება აქლემი ...ი ეს ხმაურიანი გარემო ერთკვა გარს 1931-33 წლებში მხატვრის თვალთახედვას. აქედან წერდა იგი თავის გმირთა პორტრეტებს, მათი სახეებიდან სესხულობდა და ადგენდა ორიგინალური მინიატურების კომპოზიციას. „სპარსელი ბიჭები ქსოვენ ხალიჩას“, „თეირანის სამღებროში“, „სახურთა ქალი“, „სპარსელი მუშა“ — ამ სურათებში

ფრაგონად აისახა ქვეყნის ყოფა და გარემო, ემოციურობითა და შესრულების ტექნიკის სრულყოფით ხასიათდება ჩანახატები: „რელიგიური წეს-ჩვეულება“, „სპარსელი ბოშა-ქალი“, „მწანწალა სპარსელი“ და „ვაზაფხულის დილი“.


წარმოსახვაში ჯერ კიდევ ცოცხლობდა სპარსული ეგვიპტეური სამყარო, როცა ახალი შთაბეჭდილებები მოაწვდა მხატვრის ფანტაზიას. მატყილა მღებრივილი ჩინეთს ეწვია. ეს იყო 1935 წელს. თავისუფალი მღერადი ხაზით, ლაკონურად და უშუალოდ მოგვიხსრო მხატვარმა ჩინელთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე; შესძლო ღრმად ჩასწვდომოდა მისთვის უცხო ხალხის ეროვნულ ხასიათს, მოეძებნა მთავარი, დამახასიათებელი შტრიხი მათ ფსიქოლოგიაში, რათა შემდეგ დახვეწილ ფერებში გადმოეცა დღევანდლობის პოეტური განცდა.

ვარდისფერი ყვავილებით გადაპნტილი რტყების მიღმა შარავა მოჩანს; ერთმანეთის მიყოლებით გამწკრივებულან ტრაქტორები და თითქოს მძლოდა გარეშე დაძრულანო შინდრებისაკენ, სადაც გაზაფხული მათ თავის მკერდს გაუხსნის და მომიბეული მიწა საკვებს მიიღებს ახალი საზრდოს წარმოაქმნელად. შრომის წყურვილი, შრომითი ენთუზიაზმი გადმოეცემა ამ მინიატურის მნახველსაც. ყველა სხვა სურათზე მიწვევ ეხდებით ჩინელი გლეხის დაუღალავი შრომისა, იტყება ეს „თესვა“, „მოსავლის აღება“, „პირველი ტრაქტორები“ თუ „ხაზარი ჩინეთში“.

თემის ალღოიანმა შერჩევამ, კომპოზიციის დინამიკურობამ, ხაზთა რიტმულობამ განაპირობა ჩინური ციკლის მინიატურების გამომსახველობა და საყოველთაო წარმატება. მხატვარმა ქალმა ამ მინიატურებში მოვგვა ჩინელი ხალხის არა გარეგნული აღწერილობა და ენთორგაფიული ხასიათი, არამედ ხალხის განწყობა, სულიერი კეთილშობილება და იდეური მიწწრფეები. „აგიტატორი სოფელად“, „დედა და შვილი“ და „ხმის მიცემა სოფელში“ — მართალი, ცხოვრებისეული ნაწარმოებებია. მატყილა მღებრივილის მიერ ჩინეთზე შექმნილი სურათების სერიიდან თვალსაჩინო ნამუშევრები მოსკოვის აღმოსავლეთის ქვეყნების ხელოვნების მუწეუმმა შეიძინა.

შორეული მოგზაურობიდან, უცხო მხარიდან შინ მობრუნებული ადამიანი მძაფრად შეიგრძნობს სამშობლოს სიღამაზეს. თვალი ხარბად ეწაფება ყველაფერს, ამჩნევს სიახლეს და თითქოს პირველად ხედავდეს ხასქმოდებული ცოდვების საფრდოვან ფერთა საოცრებას, ისე აღმოაჩენს მათ... და უკვირს, იკყრობს, იტაცებს ძველი და ახალი, ექაჩრება გამოხატოს თავისი აღტაცება, სურს აღბეჭდოს სამშობლოს სიღამაზე ყველას დასანახად. ალბათ ასეთი გრძნობა დაეუფლა მატყილა მღებრივილს, როდესაც შორს დარჩა ჩინეთი და საქართვლოს ველ-მინდვრებს კვლავ შევალთ თვალი, მისთვის საქართვლომ დაჩრდილა ყველა მოგონება და სამშობლოს პეიზაჟები ლაღად დაიფინა მიღებრტყაც.

მწიფობის ხანა და რთველის სიუხვე ყველაზე მეტად უღვიძებს მღებრივილს აღმადგრებას. შემოდგომის ზეიმის გამო-სახატავად მას თითქოს აღარ ჰყოფნის ფერები პალიტრაზე, მიიჩნობს სოფლისაკენ, სადაც ხორბლის სურნელი ასდის კალოებს, სადაც კანდამსკადარი წითელი ბროწეულები გზაზე შეს-



მ. მღებრივილი დიმიტრი ჯანელიძის წიგნის გაფორმება

ციციებენ და ტოტებდამომბეული ვაშლის ხეები ქართული მიწის ბარაქას აგრძობინებენ და იწერება „ბედნიერი სოფელი“, „მოსავლის აღება“, „უხეი მოსავალი“ და მრავალი სხვა. ბუნება და ადამიანი პარმონიულადაა შერწყმული ამ სურათებში. ქართველი გლეხის სინარულისა და სიამაყის თანაზიარი გამხდარა მისი ხელონი მოწეული ბარაქა. ხეხილის ბაღების ფონზე მკაფიოდ და მომხიბლავად მოჩანს ქალ-ვაჟთა კუნთმავარი სხეულები, სახელოებწაკეცილი სამოსიდან მოუჩანთ ძლიერი, ნაშრომი მკლავები. ხშრად, შრომის ფერხულში ჩაბნულ ადამიანთა გვერდით, მღებრივილი პატარა ბავშვის მომხიბლავ სახეს ჩახატავს ხილმე, როგორც მომავლის

მ. მღებრივილი ბრანდელ ეპოსის ილუსტრაცია





მ. მღებრიშვილი

გაზაფხული

სიმბოლოსა და სიცოცხლის უსასრულო გაგრძელების საწყისს.

მატილდა მღებრიშვილის ხელს არა ერთი მშვენიერი პეიზაჟი შეუქმნია. შემოქმედის პოეტურ მღელვარებასა და ბუნების სიტურფის უშუალო შფრინებაზე მეტყველებენ ეს ხე-ღობი.

ბინდში გახვეულა ალაზნის ველი, გამჭვირვალე ცისფერი შორეული ნიის კალთებიდან წამოსულა და ოცნების ჩრდილებით აუვსია შემოგარენი. მღერის ცისფერ საგალობელს გახუთის საღამო და გატრუნული ყურს უდებენ მის უხმო სიმღერას სერები და მიწდებები სურათზე „ალაზნის ველი“.

ლაკონურობითა და აზრის სისასვით გვხიბლავს პატარა ჩანახტი „შემოდგომა გახეთში“, რომელზედაც მხოლოდ ერთი უარმასარი ხე ახდენს ეფექტს. ოქროსფერი გვირგვინით თავშემკული ეს ხე შემოდგომას ანახიერებს და მისი სახით შემოდგომა მეფობს ირვლევე ყველაფერს...


სვანეთზე ბეგრი ლეგენდა თქმულა, მრავალი შემოქმედი გაუტყცია მის მკაცრ სიღამაშეს, მრავალს უცდია სვანეთის რომანტიკული გარემოს მხატვრული ასახვა. მატილდა მღებრიშვილმა შესსლო თავის ნაწარმოებებში შთამბეჭდავად აე-

სახა ეს მხარე უძველესი კოშკებითა და თანამედროვე ადამიანებით.

მუსიკოსი სიტყვას მელიდიად აქცევს, მხატვარი — ფერებად და ხაზებად. მ. მღებრიშვილი ყოველთვის კარგად გრძობდა ლიტერატურულ მასალას, მას შეეძლო სიტყვიერი ხელოვნება გადაეწერა ხაზებში, ფერებში და გაეცოცხლებინა ლიტერატურულ გმირთა სახეები. რამდენჯერმე მოუხდა მას „ჩინური მითობებისა და ზღაპრების“ წიგნის გაფორმება. ნისმა ფანტაზიამ სპარსული ზღაპარი „ხატაბხანი და შაბო“ უხალო ოსტატობით ამეტყველა. დიდი გემოვნებით დაასურათა დ. ჯანელიძის წიგნიც „ქართული თეატრი“.

მ. მღებრიშვილის ნატურმორტები აღბეჭდილია მხატვრული კულტურით, დეკორატიულობითა და თავისებური განწყობით. ნატურმორტებზე მუშაობისას ოსტატი არა მარტო კარგად გადმოსცემდა მასალის ხასიათს, კოლორიტს, არამედ მშვენიერ კომპოზიციებს თხზავდა; მას უყვარდა სამი საგნის წყობის სხვადასხვა ვარიანტის აგება, ემარჯვებოდა საგანთა კონტრასტული ფორმების დაპირისპირება თვითუღის მკვეთრად ამეტყველებისათვის და ყოველთვის ცდილობდა ფონისთვის მიეცა მეტი ტევაღობა სხვადასხვაფერად ნაქსოვი ფარდისა თუ ხალჩის საშუალებით. თვალი თავისუფლად გადადის საგნიდან საგანზე, და ფერები დინამიკურად იღვრება, ერწყმის ურთიერთს და მნახველს არ სწყინდება მათი ჭრეჭრე. ნატურმორტი თიხის ჭურჭლით ლურჯ-მწვანე და ტყვიისფერ გამაშია გადაწყვეტილი, ტონები ხავერდოვანი და რბილია. შესანიშნავია სუფრა შემოდგომის ხოლით. ცალკე აწყვეთა სამ-სამი ატამი და მსხალი, გვერდით დევს ქარვისფერი ყურძნის ტყვენი, ხოლო წინაპლანზეა შავი ლეღვის ორი მუქი ლაქა. ხილის უკან კი ორნამენტრებულნი მინიმე საგანი მოჩანს. ამ ნახატში ატორი თითქოს ხაზს უსვამს ნაყოფის სიციხოვლებსა და სხვა უსულო საგნებთან მათი უპირატესობის რაღაც ნიუანსს მიგვანიშნებს. შეიძლება ეს „რაღაც“ ფილოსოფიური აზრის თავისებური გამოხატვაყა, რომ ყოველ საგანს აქვს თავისი სიცოცხლე და სხვა საგნებთან შედარებისას მკვეთრად ვლინდება თვითუღის ჭუმშარტი თვითმყოფადობა.

მატილდა მღებრიშვილის კალმითა და ფუნქციონალური მრავალი შესანიშნავი ნაწარმოები ავსებდა ამასწინანდელ გამოფენაზე საქართველოს ხელოვნების მუზეუმის რამდენიმე ოთახს. ამ დარბაზებში იგი ერთრეც მხატვარი-რესტავრატორი იყო წელი მზრუნველად თავს დასტრიალებდა ფიროსმანაშვილის, თითის, მწველიშვილის, რუპინის, სურგოვისა და გასნეცოვის შედეგებს. აღადგენდა ჩამქრალ ფერებს, სიციხლებს უბრუნებდა დროისაგან გაცურველი ძვირფას ტილოებს და კარგი მკურნალითი იარებს უმუშებდა არქივის მიდდარ განძეულს. ხელოვნების მუზეუმში მ. მღებრიშვილის ნიჭის მრავალი თავყანისმცემელი მოვიდა, რათა მხატვრის პერსონალური გამოფენა ეტობა. აქვე იდგა წელი რტოებით შემკული მხატვრის მობეზრტიც, რომლის ჩარჩოდან შემოგაცქეროდა დეკალონისი ქართული ქალის ნათელი თვალები და თითქოს ერთხელ კიდევ გვახსენებდა რომენ როლანის სიტყვების ჭუმშარტებას: „შემოქმედება ნიშნავს სიკვდილის მოკვლას“.



„უცნაური მისის სევითი“. სცენა სპეტაკილიან



მისის სევითი —
თამარ ჭავჭავაძე
(რეჟ. ს.ხ. არტ.)
მის ვილგელმინა — თ. ბაბლიძე

სოსეის თეატრის

საინტერესო სპექტაკლი

ნინო შვანიტიაძე



ანამედროვე ამერიკელი დრამატურგის ჯონ პატრიკის ტრაგიკომედია „უცნაური მისის სევითი“ საქართველოში პირველად სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის ქართულმა დასმა წარმოადგინა. ჯონ პატრიკი — პროგრესული დრამატურგი — დიდი ჰუმანური პათოსისა და უაღრესად მახვილი მხატვრული ხედვის მწერალია.

არ შეიძლება არ ჩაგაფიქროთ პიესაში დაყენებულმა საკითხმა — განა ავა უნდა იქცეოდნენ ღღის ადამიანები?!

პიესის მთავარ გმირს მისის სევითს უყვარდა მეუღლე, უყვარდა ძლიერად, წრფელი და დიდი სიყვარულით. მისი ერთადერთი მიზანი მეუღლის ცხოვრების სასიხარულო გზით წარმართვა იყო, ამიტომ ეს ქალი იფიცებდა ყოველივე პირადულს, ცხოვრობდა მხოლოდ და მხოლოდ ქრის ბედნიერებაზე ზრუნვით. მაგრამ სევითმა დაჰკარგა ცხოვრების ეს თანამგზავრი, გარდაცვალდა მე-

უღლე. იმ დღიდან აღარ იცოდა რით დაეყოებინა მწუხარება და, აი, ამ დროს მას მოაგონდა ახალგაზრდობაში განუხორციელებელი თავისი სურვილები, მიყურებული გრძობები, რომლებიც ქრისათვის გაუგებარი იყო. ახლა მისის სევითმა თმა ცისფრად შეიღება და რადგან ახალგაზრდობაში მსახიობობაზე ოცნებობდა, ამჯერად შეუდგა მის განხორციელებას, თუმც ყოველივე გვიანია. ის, რაც მის ახალგაზრდობაში არავის ავაკვირებდა, დღეს უკვე არანორმალურად, უცნაურად ჩათვალეს.

ახალგაზრდობაში განუხორციელებულმა და ახლა კვლავ წარმოჭრილმა სურვილებმა მისის სევითი მიიყვანეს იმ გადაწყვეტილებამდე, რომ დაეხმაროს ახალგაზრდა ადამიანებს სანუკვარ ოდნებათა ფრთაშესხმაში. ამ მიზნის მიხალწევად მან სპეციალურად შექმნა „მეუღლის სახელობის ფონდი“.

ადამიანებისადმი ეს უაღრესად კეთილი დამოკიდებულება სევითის გერბ-

მა ჩათვალეს არანორმალურ საქციელად, სიგიჟედ, რის გამოც იგი სულით ავადმყოფთა სახლში მიიყვანეს. სულით ავადმყოფები, რომლებიც ე. წ. „მუდროს სავანეში“ არიან მოთავსებულნი, არ არიან გიჟები. ეს საყვარელი, კეთილი ადამიანები პიესის ავტორის დაპირისპირებული ყავს მისის სევითის გერბებსა და შეშლილ გარე სამყაროსთან.

ჯონ პატრიკი ამყარავებს და დასცინის ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივებულ, საზოგადოებაში „პატივცემულ“ და „დაფასებულ“ ადამიანებს, რომლებიც სინამდვილეში ევოსტები და მანკიერები არიან. ამ ადამიანებისათვის არ არსებობს რაიმე წმინდა. მათთვის ყველაფერია მხოლოდ ფული, ცრუ დიდება, კარიერა.

ავტორი ხედავს საფრთხეს იმ საზოგადოებაში, სადაც მას უხდება ცხოვრება. ობიგატლები, თავიანთი მკლური თვისებებით, მალე მიალწევენ პირველყოფილი ადამიანების ზნეობრივ მდგომარეობას, თუ მათ განზრახვებს წინ არ გადაეგობა სიკეთე.

პიესა ფართო შესაძლებლობას აძლევს რეჟისორსა და მსახიობებს შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოსავლინებლად.

ჩვენი თეატრის მაცურებელს უყვარს თამარ ჭავჭავაძე, ვინაც მთელი თავისი მაღალი აქტიური ნიჭი 50 წლის

გამოსვლებს 1937 წელს მოსკოვის დიდ თეატრში, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე. აქ დიდის გემოვნებით და ხალხური კოლორიტის დაცვით იქნა შესრულებული „ჩაქრული“, „მეტეფორი“, „სამართა“, „გაფრინდი შავი მერცხალო“ და სხვ.

დასახელებულ სახალხო ლიტერატურულ ფორმას ეს პლადა თავისებურ სკოლასაც წარმოადგენდა მოღვაწეთა შემადგომი ჯგუფისათვის, რომელნიც ავტორის მეთრე წიგნშია წარმოდგენილი. მაგ. ძ. ლოლუას გუნდში მღეროდნენ ივანე რომაშვილი, თადა გოგუა, ლომინ გუგუშვილი. მათთანვე გამოვლინდნენ ხალხური ტალანტები — კიქო გეგეპკორი, რემა შელეგია, კირილე პაპკორია, ვლად. ბაბილუა, ნიკო ხეტიია — შემდგომ უკვე ცნობილი და აღიარებული ლიტერატურული მოღვაწეები. შესანიშნავად ხატავს ავტორი ავს. მერგულიძის პორტრეტს, მის თავდადებულ მუშაობას ქართული კულტურის ფორსზე, მის ბრწყინვალე გამარჯვებებს და მის მიერ ანსამბლების დაფუძნებას საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში.

ქართული სიმღერის დაუცხრომელი მკვლევარი ლადო გეგეპკორი მარტოოდნ ერთი წიგნით არ კმაყოფილდება. სულ მოკლე ხანში (1958 წ.) მან გა-

მოსცა მეორე წიგნი, ხოლო 1966 წელს — მესამე ავტორის წიგნის რედაქტორების, ან მისი განვრცობის სურვილი კი არ ამოძრავებს, არამედ მიმდევრო მოღვაწეთა მწკრივს მიჰყვება. წინამორბედათა ხელოვნების შესახებ მკვნირული აზრის გამოთქმის სარგებლობის იგი ქართველ მუსიკოს-მკვლევარებს გადასცემს.

შემდგომ ორ წიგნში გაერთიანებულია ქართული მუსიკალური ფოლკლორის ერთეულ მოღვაწეთა და მისი მრავალიტების გამავრცელებელთა მთელი არმია (II წიგნში — 18, III წიგნში — 26 მიმღერალი). აი მათი სახელები: კირილე პაპკორია, ლევან მულალაშვილი, ვატიკტრინე და მარო თარნიშვილი, მარიამ არჯევანიშვილი, ვასო მახარაძე, ივანე არაბიძე, სერგი ბაქრაძე, სოლომონ იაშვილი, ჯოკია მემუღლიანი, ფირუზ მასათელაშვილი და სხვა მრავალი.

ბეგრე მათგანი დღესაც მთელის ენერგიულობით იღწვის ქართული სიმღერის ადვოკატისათვის, ხოლო გარდაცხდილთა ნამოღვაწის შესახებაც თვით დრომ იცისრა. მათ (კ. პაპკორია, ლ. მულალაშვილი, ს. კახსაძე, რ. შელეგია და სხვ.) ღრისეულად მოიმიტეს პატივისცემა გაწეული შრომის საფასურად.

ლ. გეგეპკორის „ქართული ხალხური სიმღერის ისტატები“ შესანიშნავი წამოწყებაა. სასიხარულოა, რომ ჩვენი საზოგადოებრივი, რომელიც სულ უფრო მეტად ხალისობს სიმღერით, კიდევ მრავალი ხელოვნების ნიჭი ვაიფოს. და ლ. გეგეპკორის კალამმა გააოცხლა კიდევ 20 მოღვაწის პორტრეტი, ამჯრად წიგნის IV გამოცემაში, რომელიც ავტორის უკვე დასაბეღად აქვს წარმოდგენილი. ნაშრომის ამ ნაწილში უმთავრესად აღწხუხულია აჭარული მოღვაწეების, აგრეთვე აფხაზი და ოსი სიმღერის ისტატების შესწმუღებითი დახასიათება. მწერალი წერტლის არც ამ სიტომასთან სვამს. ბოლო წლებში იგი საგუნდო საზოგადოების დაკვეთით ადგენს საგუნდო ხელოვნებისა და სიმღერის ისტატთა „წიგნ-ალბომს“ (მასში დახასიათებულია ამ დარგის 200-ზე მეტი მუშეიკი).

შესაძლოა მომავალში ლ. გეგეპკორის მიერ დამდებულ ფუძე სხვაგვარი, იმავე ცეცხლით ატყებულმა მიმდგარმა შეამადლოს. არც ეს იქნებოდა ურიკო.

ბარაკალა ხალხის ნიჭის, ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების პოპულარიზატორთა მემკვიდრის შრომის



საპარტიზოლოს მწერალთა კავშირის დრამატუგია სექციის თაოსნობით მოწეწო მეთხუხულია და თეატრის ბუჟეთა შეხედრეა. უფრო „სახეითა ხელოვნების“ კოლექტივთან. შეხედრას დაქსრწნენ ქართველ მწერლები, დრამატურგები, კრიტიკოსები, თეატრმკვლევები, მეთხუხულითა აქტივი.

საქართველოს მწერალთა კავშირის დრამატუგია სექციის თაქვლითაქმე ვ. კანდელაკმა შეხავალ სიტყვაში ილაპარაკე ასე დრამატურგები და თეატრის მოღვაწენი თავიანი პიროვნებულ აზრს გამოთქამენ შეხედრას უფრნაღის მუშაობაზე.

მეხედრებე მოსვენებობ გამოვიდა უფრნად „სახეითა ხელოვნების“ მთავარი რედაქტორი იოარ ევაძე, რომელმაც ვრცელად ილაპარაკე ქართული თეატრისა და დრამატურგიის საპრობორტო საკითხებზე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს დრამატურგებმა ვასილ პატარაიამ, იონა ვაკელამ, გიორგი ხუხუშვილმა, მიხეილ მრეტელიშვილმა. სექციის გამკვირდ მშა იაშვილმა. მათ დაეყნეს მთელი რიგი მტკივნეულ საკითხები, კერძოდ, შეხედრე ახალი ქართული თეატრების

გამოქვეყნება-ბეჭდვის საკითხს. საპრობორტონად მოითხოვდნენ, რომ უფრო მთავრულ-მეურთებელ საზოგადობრიობას საშუალება მიეცეს სცენაზე განხორციელებულად გაეყნოს სიქსას, შეფასოს მისი ღირებება-ხელშეხება; ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ რატომღაც დრამატურგთა აღმოჩნდა „არც შელოს“ მდგომარეობაში, რომ არ მარტო უკუელ ახალად ღეგნის თუ მოთხრობა, არამედ თვით სქელდებანიან რომანებს, მიუხედავად მათი მხატვრულ-ლიტერატურული ღირებებისა, ხელშისაფრდობა მკითხველისათვის. რატომ უნდა იყოს ამ მტკივ გამოწვადლის მარტო სიქსება? აქვე გამოითქვა აზრი, რომ ამ ხარვეზის ნაწილობრივ გამოსწორება შეიძლება, თუ საქართველოს თეატრალური საზოგადობეა გამოწვადვს სასტრებს და უფრნად „სახეითა ხელოვნების-თან“ დამატების სახით დამტკვადვს ქართველ დრამატურგთა ახალ სიქსებს უკუელ ნომრში.

შეხედრის დასასრულს შემაჯავებელი სიტყვიანი გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, კრიტიკოსი ბესარიან ელენე.





თამარ გომარტელი



კლესიონის სახელობის კულტურის სახლი. საბავშვო სექტორი. ორთქლმავალ-ვაგონმშენებელი ქარხნის და საელმწიკო დამოს მუშა-მოსამსახურეების შვილები ეუფლებიან ხელოვნების ამა თუ იმ ჯგუფს.

აქ ჯერ კიდევ 1911 წელს გაუმართავი უფასო კონცერტები „სამობაო ხის“ სახელწოდებით, სადაც ბავშვებს წაუკითხავთ ლექსები ქართულად, რუსულად, სომხურად, გერმანულად და სხვა ენებზე. 1914 წელს დიდი ზეიშით აღურიწმავთ გლებთა განთავისუფლების 50 წლისთავი, რომელშიაც მონაწილეობა მიუღიათ ცნობილ მწერლებს — სოფრომ მაგლობლიშვილს, კოტე ყვიფიანსა და სხვ.

1949 წელს ორთქლმავალ-ვაგონმშენებელ საქარხნო კომიტეტის სხდომაზე, პლესიონის კლუბის სექტორის მუშაობის ჩამორჩენის საკითხს რომ იხილავდნენ, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ, გიორგი დანუშვამ ბავშვთა შრომის მუშაობის ხელმძღვანელად ვალენტინა საჯაია დაასახელა. წინადადება ერთხმად მიიღეს...

ლენინის რაიონი ყველაზე დიდი მუშათა რაიონია ჩვენს ქალაქში. ვალენტინამ იცის აქ სად რომელი ხე დგას, სად რომელი კუთხა, რომელი შესახვევი. ის აქ დაიბადა 1917 წლის ივლისში, რკინიგზელი მუშის ოჯახში. მამა არ ახსოვს, ადრე გარდაეცვალა. უჭირდა ოჯახს. ორთქლმავალ-ვაგონმშენებელი ქარხნის მუშათა ოჯახების ხელმეწიფებით შოულობდა დროებით სამუშაოს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საჯაიონის ოჯახი წელში გაიმართა, მომავლის გზა მისთვისაც გაიხსნა.

გოგონამ დაწყებითი სასწავლებელი დაამთავრა. შემდეგ კომპაგშირი, სიმფიფის ატესტატი, ჯერ პირველი მეჩონგურე ქალთა ანსამბლი (აგქსენტრ მერკელიძის ხელმძღვანელობით), მერე კირილი პაჭკორიას სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (მომღერალ-მოცეცვავედ), მოსკოვში გამართულ საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების პირველ დეკადამიც იღებ მონაწილეობას.

ქებითა და წარმატებებით წახალისებულ ქალიშვილს გულში დიდი სცენისაკენ მიუწევდა. 1938 წელს თეატრალური ინსტიტუტის სამსახიბო ფაკულტეტზე შევიდა. ექვსი წლის მანძილზე მსახიბობდა მუშაობდა რუსთაველის თეატრში.

1940 წელს პლესიონის კლუბთან ჩამოყალიბდა საბავშვო სექტორი. წლების მანძილზე წრეს ბევრი ხელმძღვანელობდა, მაგრამ მუშაობა ვერ აუწყო. ვალენტინა სამსახურდიან თავისუფლად დროს ბავშვებთან ატარებდა. ერთიანი მზრუნველობით ასწავლიდა იგი ეზოსა თუ უბნის ბავშვებს სიმღერასა და ცეკვას. წინერულად და გულისსმირ ქალიშვილს მუდამ სიყვარულითა და მადლიერებით გრძნობით იხსენიებდნენ რკინიგზე-

ლი მუშის ოჯახები. ამიტომაც ერთხმად აირჩიეს იგი ბავშვთა ესტეტური აღზრდის სექტორის ხელმძღვანელად. ვალენტინა სიხარულით დათანხმდა.

